



საბჭოეთის საგარეო ურთიერთობების მინისტრო

ს.ს.ს.რ.
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
ფრანგულენოვანი
ფრგანო

№ 21
1 ნოემბერი
1928

→ შინაგარეობა ←

ი. ვარცილი.— საბჭოეთის მომიჯნავე საანგარიშო-საარჩევნო პანიისათვის.

ი. ტალახაძე.— გადასახლება ნაბიჯი.

კ. მიქელაძე.— საადგილ-მამულო სასამართლო ორგანოების პეტენციის შესახებ.

✓ ვ. მაისურაძე.— კოლექტივი თუ დამცველთა კოლეგია?

ნ. ჯინჭარაძე.— საკავშირო კანონიწერის კონფლიქტების ხილვის ახალ წესების შესახებ.

გ. ორჯონიკიძე.— ორიოდ სიტყვა მიწის ყიდვა-გაყიდვა

ნ. სააკოვი.— სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის

ი. კაციტაძე.— წლოვანობის ფაქტის დადასტურება.

✓ რ. კალანდაძე.— დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის საყრდენი

იუსტისიის მინისტრიდან
იუსტისიის ექვსი თვის სამუშაო გეგმა.

იურიდიული დახმარება

კანონმდებლობის მიმოხილვა

ოფიციალური ნაწილი

საქ. ს. ს. რ. იუსტსახკომის გამოცემა

თანხმად საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 14 დადგენილებისა „საქ. მ. გ. კანონთა და განკარგულებათა კრებულის სავალდებულო გამოწერის შესახებ“ აცხადებს

სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და აგრეთვე კერძო დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოდ, რომ

იღებენ ხელისმძღვერას

საქართ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულზე 1928 წლისათვის

საქ. ს. ს. რ. იუსტ. სახ. კომისარიატის გამოცემა სავალდებულოა

- | | |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1. საქ. ს. ს. რ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქად, ქართულ ენაზე — 40 კ. | 16. იგივე რუსულ ენაზე — 70 კ. |
| 2. საქ. ს. ს. რ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქად, რუსულ ენაზე — 40 კ. | 17. საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუცია (ბროშურად) გაყიდულია. |
| 3. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. ქართულ ენაზე, კომპლექტი 1 მ. 20 კ. | 18. „ტყის წესების დარღვევა—წანახედი“ სახელმძღვანელო თემალმასკომებისათვის (გაყიდულია). |
| 4. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1924 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 2 მ. — | 19. ბროშურა „კომლის გაყრა“—მ. ქორჯაშვილი — 20 კ. |
| 5. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1925 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 1 მ. 50 კ. | 20. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ახსნა განმარტებანი მიწის კოდექსის ზოგიერთი მუხლებისა“—(გაყიდული). |
| 6. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1926 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 3 მ. 10 კ. | 21. „იუსტსახკომის მომქმედი 1925 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ 1 მ. — |
| 7. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. ქართულ ენაზე 3 მ. — | 22. ბროშურა „მიწის შრომითი იჯარა“— 15 კ. ა. ალხოვი. |
| 8. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. რუს. ენაზე 3 მ. — | 23. „მსჯავრდებულთა ცნობარი“ 1924 და 25 წ. 3 მ. — |
| 9. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი. | 24. „იუსტსახკომის მომქმედი—1926 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ (იბეჭდება). |
| 10. სამოქალაქო პროცესი. სახელმძღვან. ს. ჯაფარიძისა.—ქართულ ენაზე . . . 1 მ. 65 კ. | 25. „საქართველოს ს. ს. რ. შრომა გასწორების კოდექსი“ —50 კ. |
| 11. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო კოდექსი, ქართულ ენაზე 1927 წ. გამოცემა — 75 კ. | 26. „შრომითი მიწის მოსარგებლე და მისი უფლება მოვალეობანი —კ. მიქელაძე. (პოპულარული წიგნი) —50 კ. |
| 12. იგივე რუსულ ენაზე — 75 კ. | 27. „სახალხო მსაჯულის უფლება-მოვალეობანი სასამართლოში“ — 25 კ. |
| 13. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ქართულ ენაზე — 45 კ. | 28. „ნასცილობა“—ა. ალხოვისა — 70 კ. |
| 14. საქ. ს. ს. რ. სასამართლოს წყობილების დებულება, ქართულ ენაზე — 25 კ. | 29. „Действующее законодательство о порядке перехода и обложения налогом имущество, переходящих по наследованию и дарению“ И. Паичадзе. სისხლის სამართლის კ. — 70 კ. |
| 15. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამ. საპროცესო კოდექსი 1927 წ. გამოცემა — 70 კ. | 30. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი ქართულ და რუსულ ენაზე — 65 კ. |

ამის გარდა გამომცემლობას შეუძლიან მიაწოდონ მსურველთ რ. ს. ფ. ს. რ. და უკრ. რესპ. იურიდიული ლიტერატურის ყველა ახალი გამოცემა.

ყველა მოთხოვნას კანონთა კრებულის, კოდექსების და იურიდიული ლიტერატურის გაგზავნის შესახებ გამოცემლობა ასრულებს დაუკონებლივ ფოსტით ფულის მიღების უმალვე ან და ფასდადებით გაგზავნის შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე.

შეკვეთით უნდა მიმართონ: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32, იუსტ. სახ. კომის. გამომცემლობას.
ტელეფონი—13 68.

საბჭოთა საპარტიო

ს. 13.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რედაქციის და კანცლარიის

საღიგებულების ფასი:

მისამართი:

წლიურად — 10 მან.

ტფილისში, ბრიზუნაძის

6 თვით — 5 მ. 50 კ.

მ. № 32

3 თვით — 3 მ.

ტელ. № 10-51

1 ნომერი 50 კ.

№ 21

1 ნოემბერი 1928 წ.

№ 21

საბჭოების მომავალ საანგარიშო-საარჩევნო კავშირისათვის

1926 წელს ჩვენ პირველად ჩავატარეთ საბჭოთა გადარჩევის ფართო კამპანია. ამ კამპანიის შედეგების განხილვა გვიმტკიცებს, რომ ჩვენ საერთოდ, სწორად ვატარებთ ჩვენი პარტიის პოლიტიკა სოფლად საბჭოების გამოცოცხლების საკითხში. მაგრამ ეს არ უნდა ვიკმაროთ და შევეცადოთ კიდევ უფრო ვავაცხოველოთ და განვამტკიცოთ საბჭოები, მაქსიმალურად განვახორციელოთ საბჭოთა დემოკრატიის ლოზუნგები, ჩავაბათ საბჭოთა აღმშენებლობაში მშრომელთა ფართო მასები. ეს არის ძირითადი მომენტები ჩვენი პარტიის მიმდინარე პოლიტიკისა სოფლად; ისინი ხელს უწყობენ ჩვენს შემდგომ წარმატებას სოციალიზმის გზაზე.

მიმდინარე 1928/29 წელს საანგარიშო-გადარჩევის კამპანია იწარმოებს განსაკუთრებულ საერთაშორისო და საშინაო ცხოვრების პირობებში. ვარედან საბჭოთა კავშირზე გააფთრებული იერიშები მოაქვთ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც აშკარად თუ ფარულად ემზადებიან თავდასხმისათვის. შიგნით — ჩვენ გვაქვს სერიოზული მიღწევები ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში; სერიოზული მიღწევები გვაქვს კოოპერატიულ მშენებლობისა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების შექმნა-მოწყობის დარგში და აგრეთვე კულტურულ რევოლუციის გზაზე. ამის გამო გაიზარდა აქტიურობა პროლეტარული მასებისა და ღარიბ ბოგანო გლეხობისა. ეკონომიური კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის სულ უფრო და უფრო მტკიცდება. პროლეტარიატი, რომელიც ამტკიცებს და აღრმავებს თავის დიქტატურას, ისახავს სოციალისტურ მშენებლობის პრაქტიკულ გეგმას. აქვე უნდა ითქვას, რომ სოციალისტური მშენებლობის წინსვლასთან ერთად, მწვავედება კლასთა ბრძოლა სოფლად და იზრდება სოფლის შეძლებული წრეების, კულაკების და ყველა ანტი-საბჭოთა ელემენტების მტრული განწყობილება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისადმი. და რამდენადაც იზრდება საბჭოების პოლიტიკური და ეკონომიური გავლენა, იმდენად უფრო მწვავედება ბრძოლა საბჭოებისათვის, ბრძოლა — ამ საბჭოებში გავლენის ხელში ჩადებისათვის. ამ ბრძოლამ არ შეიძლება არ იპოვოს თავისი გამოხატულება მიმდინარე კამპანიაში. ამიტომ, ამ კამპა-

ნიის ჩატარების დროს, ჩვენ ნათლად და მკაფიოდ უნდა დავსახოთ ის კლასობრივი ხაზი, რომელსაც ატარებს ჩვენი პარტია, მივმართოთ ამ კამპანიისაკენ ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის გულსყური და ჩავაბათ მასში მთელი პარტიული და საბჭოთა აქტივი.

სავეგებით მართალია ამხ. ენუქიძე, რომელმაც გადარჩევის კამპანიის მოსამზადებელ სრულიად საკავშირო თათბირზე მომავალ კამპანიას უწოდა ყველაზე უფრო მასიური კამპანია, რაც-კი ჩავატარებთ ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში. ვერც ერთი კამპანია, რომელიც დაკავშირებულია პროფმოდრობასთან ან და ჩვენი პარტიის და კომკავშირის ორგანოების არჩევასთან, თავისი მასიურობით და გასაქანით ვერ შეედრება საბჭოთა არჩევნებს. საკმარისია ითქვას, რომ 1926/27 წელს საბჭოების არჩევაში მონაწილეობა მიიღო 34 მილიონ ამომრჩეველმა“.

საქმე ეხება საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების გადარჩევას, იმ ორგანოებისას, რომლებმაც უშუალოდ უნდა მოჰკიდონ ხელი სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა განხორციელებას. საბჭოების გადარჩევა და თვით საბჭოების მუშაობა აღვივებს მშრომელთა თვითმოქმედებას და აბამს მშრომელთ სახელმწიფოებრივი მმართველობის საქმეში. მიმდინარე კამპანია გადასინჯავს საბჭოების პრაქტიკული მუშაობის შედეგებს, შეაფასებს ყველა ჩვენი საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების მუშაობას; ამით მშრომელნი უშუალოდ და მასიურად ჩაებმებიან საბჭოთა ორგანოების მუშაობის შეფასებისა და კონტროლის საქმეში.

ამიტომაც, საბჭოების გადარჩევა წარმოადგენს — უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ კამპანიას, ხოლო წინასწარი საანგარიშო კამპანია კი იქნება მშრომელთა მიერ გენერალური და მასიური შეფასება საბჭოების პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობისა.

ამ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ესოდენ დიდი მნიშვნელობა ავალებს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, განსაკუთრებით ადგილობრივად: 1) იქონიონ სწორი და ნათელი წარმოდგენა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობისა და სოფლად კლასობრივ

ძალების დაჯგუფების შესახებ, 2) ნათლად და მკაფიოდ შეიგნონ და შეითვისონ პარტიის სახელმძღვანელო დირექტივები ამ კამპანიისათვის; 3) სწორ და წინასწარ მოფიქრებულ ვეგმისა და საორგანიზაციო ზომების საშუალებით თავიდან აიცილინონ წინა საარჩევნო კამპანიის დროს დაშვებული სერიოზული შეცდომები და მიაღწიონ მაქსიმალურ პოლიტიკურ შედეგებს; 4) საანგარიშო კამპანიის დროს დააყენონ ხოლმე ყველაზე უფრო საჭირო ბოროტო და მშრომელთათვის უფრო საინტერესო საკითხები, როგორც საერთო სახელმწიფოებრივ მშენებლობისა, ისე კერძოთ. ამა თუ იმ კუთხის კულტურული და ეკონომიური მშენებლობის შესახებ; 5) საანგარიშო-გადარჩევის კამპანია ჩაატარონ ფართო, შემოქმედებითი თვითკრიტიკის თვალსაზრისით; მათ უნდა ახსოვდეთ, რომ თვითკრიტიკის სწორი წარმოება გააღვივებს ფართო მასების ინიციატივას, ჩაბაძს მშრომელთა უშუალო სოციალისტურ მშენებლობაში, გამოააშკარავებს საბჭოთა ხელისუფლების აშკარა თუ ფარულ მტრებს და გამოამჟღავნებს ჩვენი პრაქტიკული მშენებლობის ნაკულულოვანებებს და შეცდომებს. მაგრამ, მეორეს მხრივ, ყოველივე საშუალებით უნდა ვებრძოლოთ ბოროტ კრიტიკას, დემაგოგიასა და ცილისწამებას, რომელთაც სურთ ჩაგვიშალონ საანგარიშო-გადარჩევის კამპანია; 6) მთავარ ამოცანათ ამ კამპანიაში დასახონ პროლეტარიატის, პარტიისა, კომკავშირის და პროფორგანიზაციების ხელმძღვანელი როლის გაძლიერება.

სოფლის ღარიბ და ბოგანო წრეებზე დაყრდნობასა, საშუალო გლეხობასთან მათი კავშირის განმტკიცებასთან ერთად ჩვენ შეუპოვრათ უნდა ვამხილოთ სოფლის მოსახლეობის ზედა ფენები, განსაკუთრებით კულაკური ელემენტები. ჩვენ წითელ არმიას და ყოფილ წითელარმიელს, რომელმაც წითელ არმიაში პოლიტიკური სკოლა გაიარა, შეუძლიათ დიდი სამსახური გაგვიწიონ არჩევნებში. როგორც საანგარიშო, ისე საარჩევნო მუშაობაში დიდი დახმარება შეუძლია აგრეთვე სოფლის ინტელიგენციას (მასწავლებელს, აგრონომს, ექიმს, ტექნიკოსს და სხვ.).

დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო კამპანიაში მომხსენებელთა მომზადებას, ზეპირი და წერილობითი მოხსენებების პოპულარობას, და, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ამომრჩეველთა ყურადღების შეჩერებას მათთვის ყველაზე უფრო საინტერესო პრაქტიკულ საკითხებზე. კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთ ტექნიკურ წვრილმანებს, როგორც მაგალითად, კრების დანიშვნა მოსახლეობისათვის მოხერხებულ დროს, ნათელი, მშრალი და მოხერხებული ბინა, საარჩევნო უბნების სიახლოვე, ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების თავისებურებათა გათვალისწინება და სხვ.

საბჭოების მომავალ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მოვალეობა აწევთ იუსტიციის ორგანოებს ადგილებზე. გლეხთა მასის ყოფა ცხოვრებაში არ არის არც ერთი მხარე, რომელიც დაკავშირებული არ იყოს იუსტიციის ორგანოთა მუშაობასთან და ამიტომაც მათ ევალეობათ ჩაატარონ უდიდესი მუშაობა სოფლად, გამოუშვან პროკურორები

მომხსენებებით, ახსნა-განმარტებებით, რათა გააცნონ ამომრჩეველებს იუსტიციის ორგანოთა მუშაობა დღევანდელ პერიოდში, რევოლუციური კანონიერების საკითხები და საერთოდ — ნათელჰყონ მნიშვნელობა იმ უდიდესი კამპანიისა, რომლის წინაშე ვდგავართ დღეს.

ლოზუნგებათ დასახული უნდა იყოს: სოციალიზმის ძლიერებისათვის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, კოოპერაციის, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა ფართო მშენებლობა სოფლად, სოფლის მეურნეობის საერთო აყვავება მისი კულტურულ-ტექნიკურ გაუმჯობესების გზით.

შეუტოთ მერყევს და ურწმუნოს; ძირს ისინი, ვისაც არა სწამს სოციალისტური მშენებლობა; მშრომელთა ფართო მონაწილეობა საბჭოებში — ჩვენი შემდგომი გამარჯვების საწინდარია!

ჩვენ გვჭირია კარგი კოოპერაცია, მტკიცე და ძლიერი კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი. უნდა ვებრძოლოთ კერძო ვაჭარს, განკავითაროთ კოოპერაცია, კოოპერატიული საზოგადოებრიობა, კიდევ უფრო დავსწიოთ ფასები. უნდა ავამილოთ მუშისა და გლეხის მატერიალური დონე, პოლიტიკური შეგნება და აქტიობა. მშრომელთა ფართო ფრონტით შეუტოთ ჩამორჩენილობას და ცრუმორწმუნეობას.

საბჭოები — ძლიერი იარაღია კულტურულ რევოლუციისათვის ბრძოლაში. კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა ღარიბებსა და ბოგანოებს შორის. განვამტკიცოთ მათი კავშირი საშუალო გლეხობასთან და შეერთებული ძალით მივიტანოთ იერიში კულაკზე.

გავაძლიეროთ ქალთა აქტიობა და მონაწილეობა საბჭოებში. უზრუნველყვით ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა.

ენერგიულად გავატაროთ ეკონომიის რეჟიმი. ვაფთრებით ვებრძოლოთ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის, ბიუროკრატიზმის და ვოლოკიტის აღმოფხვრისათვის, მასების ჯანსაღი და შემოქმედებითი თვითკრიტიკისათვის.

ი. ვარძიელი.

გაღამურალი ნაბიჯი

საკავშირო ცაკის დადგენილების თანახმად — უახლოეს მომავალში საქართველოს ცაკის მიერ გამოცემულ იქნება „შრომის კონფლიქტების განხილვის წესები მომრიგებელ, სამედიატორო და სასამართლო ორგანოებში“

ეს წესები არსებითად ამარტივებენ და ამოკლებენ შრომითი საქმეების მსვლელობის სისტემას — სხვადასხვა საკონფლიქტო ორგანოებში და საფუძვლიანად ძირშივე სპობენ ვოლოკიტის მთავარ ფესვებს.

ახალი კანონი, უწინარეს ყოვლისა, აყალიბებს იმ ორგანოების ფუნქციებს და უფლებებს, რომლებიც იხილავენ შრომის კონფლიქტებს, რაც შესამჩნევად გააღვივებს ამ ორგანოების მუშაობას (მომრიგებელი კამერები, სამედიატორო სასამართლოები, შრომის სესიები); აყალიბებს აგრეთვე ახალ წესს, თუ როგორ უნდა ტარდებოდენ ამ ორგანოებში კონფლიქტები, რომლებიც აღმო-

ცნდება იმ ამა თუ იმ ნიადაგზე. შემდეგ ამყარებს საჩივრის აღძვრის ვადებს.

მართლმსაჯულების საქმეში დიდ როლს თამაშობს გარჩევის მომენტის დაახლოვება კონფლიქტის აღმოცენების მომენტთან. ამიტომ, ახალი კანონი ამყარებს საჩივრის აღძვრის ვადას — უკანონოდ დათხოვნის საქმეების შესახებ, რასაც საზღვრავს 14 დღით კონფლიქტის აღმოცენების დღიდან.

შემოკლებულია აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადები. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ საქმის წარმოება ხშირად უფრო ძვირი ჯდება თვით ძიების თანხაზე. ამ მხრით ახალი კანონი უწყევათ კვეთს გორდის კვანძს. არ დაიშვება შრომის სასამართლოების გადაწყვეტილებათა გასაჩივრება ხელფასის ძიების საქმეებზე, თუ მისჯილი თანხა არ აღემატება მომუშავეს ოვიურ ხელფასს. სხვა საქმეებზე, როდესაც კანონი უშვებს შრომით სესიების გადაწყვეტილებების გასაჩივრებას — საჩივრის აღძვრისათვის წესდება თოთხმეტ დღიანი ხანდაზმულობა. მეორე ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს განიხილოს საქმე არსებითად და გამოიტანოს გადაწყვეტილება ან მოსპოს პირდაპირ — პირველ ინსტანციაში დაუბრუნებლად. ამ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება (მეორე ინსტანციისა) არ შეიძლება იყოს გასაჩივრებული არავითარი წესით.

სრულებით არ განსაჩივრდებიან აგრეთვე შრომითი სესიების მეორედ გამოტანილი დადგენილებანი, რომლებიც გამოტანილნი არიან საკასაციო ინსტანციების მითითებათა შესრულებით.

ეს ღონისძიებანი ანთავისუფლებენ სასამართლოს მთელი რიგი ფორმალობისაგან და აჩქარებენ საქმეების მსვლელობას.

დღემდე ცუდად იდგა საკითხი სასამართლოს გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანისაც. დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ საქმეს ეღირსებოდა დაბოლოვება — გადაწყვეტილება, მაგრამ შემდეგ სისრულეში მოყვანის საკითხში იწყებოდა მთელი დავიდარაბა. განსაკუთრებით ძნელდებოდა ფულის გადახდევინება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებისაგან. დღეს ეს საკითხი წყდება მარტივად: შრომითი საქმეების დადგენილების სისრულეში მოსაყვანად გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იყოს ყოველგვარ თანხაზე, რომელიც ასსიგნაციით ეძლევა მოპასუხე-დაწესებულებას და აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვის ყოველი მუხლიდან. შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების, მომრიგებელი კამერების და სამედიცინო სასამართლოების გადაწყვეტილებები მოყვანილი იქნებიან სისრულეში პირდაპირ გადაწყვეტილებათა ოქმებით და აღარ იქნება საჭირო სპეციალური აღმასრულებელი ფურცლები.

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ახალი კანონის უკანასკნელი პუნქტი.

იგი ანიჭებს უფლებას შრომის სასამართლოს უკანონოდ დათხოვნის კონფლიქტების გარჩევის დროს — დააკისროს დაწესებულებისათვის (წარმოებისათვის) მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება იმ პირებს, რომლებიც არიან დაძმავავენი მომუშავეს უკანონოდ დათხოვაში.

ამ პუნქტმა უნდა შეასრულოს დიდი აღმზრდელობითი საქმე ადმინისტრაციის და დაქირავებულ მომუშავეთა ურთიერთობაში, განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ყოველ წლიურად ტფილისში ირჩევა 10.000-მდე კონფლიქტები, რომელთაგან მშრომელთა სასარგებლოდ წყდება 80 პროც. მომავალში დათხოვნას მოეპყრობიან უფრო ფრთხილად.

ვიდრე მშრომელს დავითხოვდეთ, უნდა გამოყენებულ იქნეს აღმზრდელობითი ხასიათის ყოველგვარი საშუალებანი და მხოლოდ მათი ამოწურვის შემდეგ უნდა დათხოვნილ იქნეს და ისიც იურიკონსულტთან საკითხის დაწვრილებითი განხილვის შემდეგ, — რომელთან ერთად კანონის დარღვევის შემთხვევაში, საჭირო შეიქნება მატერიალური პასუხისმგებლობის თავზე მიღება.

ი. ტალახაძე.

საადგილმამულო სასამართლო ორგანოების კომპეტენციის შესახებ

ჩვენი ჟურნალის 20 №-ში მოთავსებულია საინტერესო წერილი გ. გოგილაძისა შემდეგი სათაურით: „საადგილმამულო დავის განხილვა“. საინტერესოა და საყურადღებო ეს წერილი მართოდ იმ მხრივ, რომ მასში ისეთი საკითხებია დასმული, რომლის სწორ გადაწყვეტას მოითხოვს ინტერესი საადგილმამულო სასამართლო ორგანოების მოღვაწეობის წარმართვის კანონში არსებულ პირდაპირ დადგენილებათა აზრის მიხედვით.

ხსენებულ წერილში გამოთქმული მოსაზრებანი საადგილმამულო სასამართლო ორგანოების კომპეტენციის შესახებ არ უნდა იყოს მხოლოდ ავტორის შეხედულებანი, ამის დამადასტურებელ დებულებას წარმოადგენს ის, რომ „საადგილმამულო სასამართლო ორგანოები სწყვეტენ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, მარტო დავას კერძო პირთა შორის. წერილის ავტორი საადგილმამულო სასამართლო ორგანოების მოღვაწეობის შესახებ სწერს შემდეგ: „ვინც იცნობს საადგილმამულო ორგანოების დღევანდელ მუშაობას, ის დამეთანხმება, რომ ეს ორგანოები სწყვეტენ ყველა საადგილმამულო დავას, გარდა იმისა, რაც ამ მუხლშია (ე. ი. მიწ. კოდ. 161 მუხ. კ. მ.) მოხსენებული“. აქედან რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? ორში ერთი უნდა იყოს: ან საადგილმამულო სასამართლო ორგანოები არ იღებენ თავის განსახილველად ყველა იმ დავას, რაც მიწის კოდექსის 161 მუხლშია გათვალისწინებული, ან და მის განსახილველად არ შედის ყველა ის საქმე, რაც მას ხსენებული მუხლის ძალით ექვემდებარება. თუ პირველ შემთხვევას აქვს ადგილი, მაშინ ჩვენ გვაქვს საქმე კანონის აშკარა დარღვევასთან. მეორე შემთხვევაში კი უნდა გავარჩიოთ ორი პირობა. ერთი პირობის მოქმედებას განსაზღვრავს ის დებულება, რომ „на нет и суда нет“. მართლაც, თუ სასამართლოს არ წარედგინა განსახილველად დავა, ის, სასამართლო ასეთ დავას ვერც გაარჩევს. მეორე პირობა იმაში მდგომარეობს, რომ ადმინისტრატიულ ორგანომ ამ შემთხვევაში საადგილმამულო ორგანომ, უნდა წარადგინოს მიწადმოწყობის საქმე სასამართლოში განსახილველად, უკეთეს მიწადმოწყობის

პროცესში აღძრული იყო დავა და ეს უკანასკნელი და-
რჩა გადაუწყვეტელი, ე. ი. მიწადმოწყობის მონაწილეთა
მორიგებით არ იქნა დამთავრებული. როცა საქმე ეხება
იმ დავას, რაც აღიძვრის მიწადმოწყობის პროცესში, სა-
ადგილმამულო სასამართლო ორგანომ უნდა შეუდგეს და-
ვის განხილვას, თუ ეს უკანასკნელი გადაეცა მას საად-
გილმამულო ორგანოების მიერ, ან და თუ დაინტერესე-
ბული პირი, რომლის მიერ მიწადმოწყობის დროს იყო
აღძრული დავა, განაცხადებს ასეთს საადგილმამულო სა-
სამართლო ორგანოში.

არც საადგილმამულო და არც სასამართლო ორგა-
ნოს საქმიანობის ნაკლს ვერ მივაწერთ იმ გარემოებას,
თუ მიწის მოსარგებლეები არ აღძრავენ სასამართლოში
დავას მიწადმოწყობის შესახებ. მაგრამ თუ მიწათმოწყო-
ბის პროცესში აღძრული იყო დავა და ეს უკანასკნელი
დარჩა გადაუწყვეტელი და სამაზრო მიწათმოქმედების
განყოფილების კოლეგიამ არ გადასცა ეს საქმე საადგილ-
მამულო სასამართლო ორგანოს განსახილველად, მაშინ იქ-
ნება საადგილმამულო ორგანოს კანონის საწინააღმდეგო
მოქმედება. როგორც ვ. გოგილაძის წერილიდან ჩანს,
საადგილმამულო ორგანოებს განუმტკიცებიათ ასეთი პრა-
ქტიკა. საკითხია, რამდენად სწორია ეს პრაქტიკა? ასეთი
პრაქტიკა გამომდინარეობს თუ არა სამიწათმოწყობო სა-
ქმის ინტერესიდან, გამოხატავს თუ არა ეს სასამართლო
ორგანოების კომპეტენციის მითვისებას ადმინისტრაციუ-
ლი ორგანოების მიერ.

მიწის კოდექსის 161 მუხლის დადგენილების შესა-
ხებ ვ. გოგილაძე სწერს, რომ „რედაქცია ამ მუხლისა
გამოვიდა უსიცოცხლო და დღენაკლული, ეს მხოლოდ
ქალღმერთს და რჩა და ცხოვრებაში არ ტარდება, რადგან,
განაგრძობს იგი, ყველა ის დავა, რაც მოხსენებულია
მიწის კოდექსის მე 161 მუხლში, სინამდვილეში ირჩე-
ვა სამაზრო აღმასკომების მიწათმოქმედების განყოფი-
ლებათა საადგილმამულო კოლეგიებში და არა სასამარ-
თლო კოლეგიებში“. ამის შემდეგ ვ. გოგილაძე შემდეგ
დასკვნას იძლევა: „და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან სა-
სამართლოებზე ამ დავის გადაცემა გააჭიანურებს ისედაც
ნელი ნაბიჯით მიმავალ მიწათმოწყობის მუშაობას“.

იმ საკითხის გადასაწყვეტად, რამდენად აღნიშნუ-
ლი პრაქტიკა საადგილმამულო ორგანოებისა სწორია არა
მარტო კანონის პირდაპირი დადგენილებისა, არამედ მი-
წათმოწყობის საქმის სათანადოდ განხორციელების თვალ-
საზრისით, ჩვენ უნდა მივმართოთ იმის ანალიზს, გამო-
კვევას, რა აზრია ჩაქსოვილი კანონის სათანადო დადგე-
ნილებებში. პირველ ყოვლისა საჭიროა იმის განსაზღვრა-
რა საქმეები ექვემდებარებიან საადგილმამულო სასამართ-
ლო ორგანოებს და სთვლის თუ არა კანონმდებელი ამ
საქმეებს სადავო საქმეებათ, თუ საადგილმამულო სასამარ-
თლო ორგანოები წარმოადგენენ იმავე სისტემის ორგა-
ნიზაციას, რომელსაც ეკუთვნიან საადგილმამულო ორგა-
ნოები.

მიწის კოდექსის 161 მუხლი განსაზღვრავს საადგი-
ლმამულო სასამართლო ორგანოების კომპეტენციას ისეთ
საქმეების განხილვით, რომლებიც არ შეიძლება ექვემ-
დებარებოდნენ არა თუ ადმინისტრაციულ ორგანოებს,

არამედ სხვა სასამართლოს. ასეთია კანონის დადგენილე-
ბა და სანამ ის არ არის შეცვლილი, მისი შესრულება
ყველასათვისაა საავალდებულო.

ხსენებული მუხლით განსაზღვრულია საადგილმამუ-
ლო სასამართლო ორგანოების კომპეტენცია საადგილმა-
მულო საქმეების ორი სახის განხილვით. საქმეთა ერთ სა-
ხეს შეადგენს ის დავა, რაც აღიძვრის მიწათმოწყობის
დროს, მეორე სახეს კი ყოველგვარი დავა მიწის სარგე-
ბლობის უფლების შესახებ. საადგილმამულო სასამართ-
ლო ორგანოების კომპეტენციის, ქვემდებარეობის ფარ-
გლები იმდენად ნათლადაა განსაზღვრული, რომ ეს დავას
ვერ გამოიწვევს. ვ. გოგილაძე ამის საწინააღმდეგო აზრს
გამოთქვამს. მას პირველ ყოვლისა არ მოსწონს ხსენებულ
მუხლში აღნიშნული სიტყვები: „და სხვა“. ამ სიტყვების
შესახებ ლაპარაკობს შემდეგ: „კანონში ისეთი სიტყვე-
ბი, როგორცაა „და სხვა“. არ უნდა იყოს დაშვებული“-ო.
საკითხია, რა შემთხვევაშია ის, როცა კანონმდებელი ხმა-
რობს სიტყვას „და სხვა“? 161 მუხლი, განსაზღვრავს რა,
რომ საადგილმამულო სასამართლო ორგანოებმა უნდა გა-
დაწყვიტონ ყოველგვარი დავა, რაც კი აღიძვრის მიწათ-
მოქმედების დროს, აგრეთვე ყოველივე დავა მიწის სარ-
გებლობის უფლების შესახებ, ამ უკანასკნელ დებულებას
განნარტავს ზოგიერთ მაგალითების, ან შემთხვევების ჩა-
მოთვლით. განმარტებითი შემთხვევების ჩამოთვლა ისე
რომ ამოწურული ყოფილიყო ყველა შემთხვევა, რომელიც
ახასიათებს ყოველივე დავას მიწის სარგებლობის უფლე-
ბის შესახებ, კანონმდებელს არ შეეძლო და ეს არც იქ-
ნებოდა მიზანშეწონილი იმიტომ, რომ არ არის გამორი-
ცხული იმის შესაძლებლობა, რომ გამოტოვებულ იქნეს
ზოგიერთი შემთხვევა. ზოგჯერ ამოწურვა იმ მაგალითე-
ბისა, რომლებიც განმარტავენ კანონის ამა თუ იმ დებუ-
ლებას, შეუძლებელიცაა, ამიტომ კანონში ზოგიერთი მა-
გალითების ჩამოთვლის შემდეგ იწერება სიტყვა „და სხვა“.
ეს სიტყვა ვ. გოგილაძის მიერ გაგებულია იმ მნიშვნელო-
ბით, თითქოს მასშიც უნდა ვეძიოთ საადგილმამულო სა-
სამართლო ორგანოებს კომპეტენციის განსაზღვრა. ეს ჩანს
შემდეგი დებულებიდან: „ნუ თუ ძნელი იყო ორიოდ
სიტყვით იმის გამოთქმა, გამოხატვა, რაც შეადგენს
საადგილმამულო სასამართლო ორგანოების მთავარ და
თითქმის ერთადერთ კომპეტენციას“. ასეთი მოსაზრება
უნდა აფხანთ გაუგებრობით, რადგან კანონში ნათლადაა
განსაზღვრული, რომ საადგილმამულო სასამართლო ორ-
განოების კომპეტენციას შეადგენს განხილვა და გადაწყ-
ვეტა ყოველგვარი დავისა, რაც კი აღიძვრის მიწადმო-
წყობის დროს, აგრეთვე ყოველივე დავისა მიწის სარგებ-
ლობის უფლების შესახებ ამ განსაზღვრაზე უნდა შევა-
ჩეროთ ყურადღება, რომ ნათელგყოთ არა მარტო საად-
გილმამულო ორგანოების პრაქტიკის უკანონობა, ვ. გო-
გილაძის მიერ აღნიშნული, არამედ მისი მიზანშეწონ-
ლობაც.


მიწის კოდექსის 161 მუხლის ის დადგენილება, რომ
საადგილმამულო სასამართლო ორგანოები სწყვეტენ იმ
დავას, რომელიც აღიძვრის მიწათმოწყობის დროს, გამო-
მდინარეობს იმ დებულებიდან, რომლის მიხედვით დაშ-
ვებულია მიწათმოწყობის დროს მიწის მოსარგებლეების

მხრივ დავის განცხადება. ჩვენ ვიცით, რომ მიწათმოწყობის წარმოება მომქმედი კანონით იწყება იმ პირთა და დაწესებულებათა თაოსნობით, რომლებსაც სურთ, რომ ისინი უკეთ იყენენ მოწყობილნი. ცხადია, რომ ასეთი მიწათმოწყობა შეიძლება შეეხოს სხვა პირებსა და ორგანიზაციებს. ამიტომაცაა მიწის კოდექსის 128 მუხლში ნათქვამი, რომ მიწის მზომელი-მიწათმომწყობი, შეადგენს რა წინასწარ გეგმას და განმარტებით ბარათს, წარუდგენს უკანასკნელს მიწათმოწყობაში მონაწილეთ. ამის შემდეგ აქვს ადგილი მონაწილეთა განცხადებებსა და საჩივრებს. უკეთეს ასეთი ჩქნა განცხადებული, ის იქნება აღნიშნული მიწათმომწყობის მოხსენებაში, რომელიც უნდა წარედგინოს სამაზრო საადგილმამულო კოლეგიას. ხსენებული კოლეგია განიხილავს წარდგენილ მოხსენებას და გადასწყვეტს საჩივრებსა და დავას, ამის შემდეგ კი დაადგენს: ან საქმე შესრულებულ იქნეს, ან დაებრუნოს იგი მიწათმომწყობ მიწის მზომელს შესავსებად, განმარტებით, თუ რით უნდა შეივსოს იგი, ანდა უკეთეს სცნობს. რომ საქმე მიწათმოწყობის მიზნებს არ შეეფერება, მოსაზრებს მას (მიწკოდ. 129 მუხ.). საქმის შესრულება შეიძლება, რა თქმა უნდა, მაშინ, თუ პროექტი არის შედგენილი. პროექტის შედგენა კი თანახმად მიწის კოდ. 130 მუხლისა მდგომარეობს იმაში, რომ საპროექტო გეგმაზე და თანაც ადგილზე (დროებითი ნიშნებით) სისწორით და დაწვრილებით აღინიშნება ის ნაკვეთები, რომლებიც ეძლევა მონაწილეებს მათი უფლებების და კანონიერ ინტერესების თანახმად და ტექნიკურ-სამეურნეო წესების მიხედვით. ხსენებული მუხლის დადგენილების ის დებულება, რომ ადგილზე სახლგრები აღინიშნება მუდმივი მიჯნის ნიშნებით, უკეთეს პროექტზე არ არის განცხადებული დავა-საჩივარი, მიუთითებს იმაზე, რომ აღძრული დავა ან საჩივარი შეიძლება არ გადაწყდეს მიწათმოწყობის პროცესში. შედგენილ პროექტს მიწისმზომელი წარუდგენს მონაწილეთ და განუმარტავს მას ადგილზე და სათანადო ოქმსაც შეადგენს და მიწისმომწყობმა მასთან ყოველი ღონე უნდა მოიხზაროს, რომ დაინტერესებული პირები შეათანხმოს მაგრამ ეს შეთანხმება, მორიგება დაინტერესებული პირებისა არ უნდა არღვეოდნენ მიწათმოწყობის დედაზარს (131 მუხ.). მაგრამ უკეთეს დავის გათავება არ მოხერხდა მიწათმოწყობის მონაწილეთა მორიგებით, უნდა იქნეს შედგენილი ოქმი, რომელშიაც შეიტანება მონაწილეთა განცხადებები და მთელი წარმოება წარედგინება სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიას თავისი დასკვნით და დავის გადაწყვეტის პროექტით (132 მუხ.). კოლეგია კი გაარჩევს მთელ საქმეს და მხარეთა მიერ განცხადებულ დავასა და საჩივარს. ამას კი თან უნდა მოჰყვეს პროექტის ან უცვლელად ან შესწორებით დამტკიცება, ან და მისი დაბრუნება ხელახალი შედგენისათვის (133 მუხ.). კანონის ეს დადგენილება იწვევს გაუგებრობას. მისი აზრი უნდა იქნას გაგებელი ისე, რომ კოლეგია გაარჩევს რა მთელ საქმეს და მხარეთა მიერ განცხადებულ დავასა და საჩივრებს, დაამტკიცებს წარდგენილ პროექტს იმ შემთხვევაში, თუ დავა და საჩივარი მხარეთა მორიგებით გადაწყვეტილია. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია ის გარემოება, რა მნიშვნელობა აქვს კო-

ლეგიის მიერ პროექტის დამტკიცებას, თუ კი მხარეების პროტენზიები ამ პროექტით არ არიან დაკმაყოფილებულნი და პროექტზე განცხადებული დავა გადავა საადგილმამულო სასამართლო ორგანოების განსახილველად და გადასაწყვეტად. მიწის კოდექსის 133 მუხლის არა ისე გაგება, როგორც იყო განმარტებული, შესაძლებლად ხდის დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ უნდა ამოიშალოს 161 მუხლის დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს საადგილმამულო სასამართლო ორგანოების მიერ იმ დავის განხილვას, რომელიც აღიძვრის. მიწათმოწყობის დროს, ან და თუ ეს მუხლი (161) დატოვებულ იქნა მომქმედი რედაქციით, უნდა შეიცვალოს 133 მუხლის დადგენილება.

უდავოდ უნდა ჩავთვალოთ ის დებულება, რომ დავის განხილვა და გადაწყვეტა შეუძლია ისეთ ორგანოს, რომელსაც სასამართლოს ფუნქციები აქვს მინიჭებული. ასეთ ფუნქციების შესრულება კანონით არა აქვს დაკისრებული მაზრის მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიას. ასე რომ არ იყოს, კოდექსშია ადგილიც არ ექნება 161 მუხლს. გარდა ამისა ყოველად შეუძლებელია, რომ საადგილმამულო დავის განხილვა გადაწყვეტა იყოს გამორიცხული საადგილმამულო სასამართლო ორგანოების ქვემდებარეობიდან, რადგან საწინააღმდეგოს დაშვება იქნებოდა ისეთი მდგომარეობის განმტკიცება, როცა ადმინისტრაციული ორგანო მიწათმოწყობას ატარებს და მასთან დავასაც სწყვეტს არა მარტო დაინტერესებულ პირთა მორიგების პირობებში, არამედ მის გარეშეც. კანონმდებელს, ცხადია, ასეთი მდგომარეობის შექმნა არ სურდა, წინააღმდეგ შემთხვევაში არც კოდექსში შეიტანდა ისეთ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ დაინტერესებულ პირთა მიერ მიწათმოწყობის პროცესში დავის განცხადების შესაძლებლობას, და არც შემოიღებდა და დააკანონებდა ცალკე სასამართლო ორგანოებს მათზე იმ ფუნქციის დაკისრებით, რომელიც გამოიხატება იმ დავის გადაწყვეტაში, რაც აღიძვრის მიწათმოწყობის დროს.

მიწის მოსარგებლის საადგილმამულო უფლება ემყარება მასზე სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ მოვალეობის ასრულებას. ეს მოვალეობა იმაში გამოიხატება, რომ მან უნდა გამოიყენოს მიწა უშუალოდ მის დანიშნულებისამებრ, ე. ი. შრომითი სარგებლობისათვის გადაცემული მიწის გამოყენება ამსახუროს საქვეყნო ინტერესს, რომელიც მოითხოვს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის ხელისშეწყობას. ამავე დროს მიწის მოსარგებელს მინიჭებული აქვს შესაძლებლობა აღნიშნული მოვალეობის, სოციალური ფუნქციის შესრულების ფარგლებში იმოქმედოს ისე, როგორც ამას მისი პირადი ინტერესი მოითხოვს, უკარნახებს. ასე რომ მიწის მოსარგებლის კერძო ინტერესის განხორციელება უნდა იქნეს შეთანხმებული საქვეყნო ინტერესთან, დაკისრებული სოციალური ფუნქციის სისწორით შესრულება კი ანიჭებს მას უფლებას მოთხოვნა წარუდგინოს სახელმწიფოს სათანადო ორგანოებს, რომ შესაძლებლობა სოციალური ფუნქციის მის მიერ შესრულებისა უზრუნველყოფილი იქნეს. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მიწის მოსარგებლისათვის მის მიერ სოციალური ფუნქციის შესრულება იმის



საკმაო საფუძველია, რომ მისი საადგილმამულო უფლება არ იქნეს დარღვეული, მიწათმოწყობის დროს მიწის მოსარგებლის საადგილმამულო უფლების დარღვევის შესაძლებლობაზე აშენებული, კანონის ის დადგენილება, რომლის ძალითაც მიწის მოსარგებლეს ენიჭება უფლება დაევა და საჩივარი განაცხადოს ისეთ მიწის მოწყობაზე, რაც მის საადგილმამულო უფლებას არღვევს და მეორე მხრით ეკისრება საადგილმამულო ორგანოებს შეათანხმონ მიწათმოწყობის მონაწილეები, და უკეთუ მათი ასეთი მორიგება არ მოხერხდა, გადაიტანონ საქმე საადგილმამულო სასამართლო ორგანოში საბოლოოდ გადასწყვეტად. ასეთი დასკვნის დამადასტურებელ დებულებას ჩვენ ვპოულობთ არა მარტო იმ ნორმაში, რომელიც ითვალისწინებს, როგორც უკვე იყო აღნიშნული, იმ გარემოებას, რომ იმ შემთხვევაში, როცა პროექტზე დაევა-საჩივარი არის განცხადებული, საზღვრები ადგილზე აღინიშნება არა მუდმივი მიჯნით, არამედ დროებითი ნიშნებით, აგრეთვე იმ ნორმით, რომელშიც დადგენილია, რომ იმ დავას, რაც აღიძვრის მიწათმოწყობის დროს, გადასწყვეტს საადგილმამულო სასამართლო ორგანო. ასეთი დავის გადატანას საადგილმამულო სასამართლო კოლეგიაში განსახილველად ვ. გოგილაძე სთვლის საქმის გაკვიანურებათ. მასთან იგი დასძენს, რომ „ცხადია ასეთი კანონი უნდა შეიცვალოს, ე. ი. საადგილმამულო სასამართლო ორგანოები დარჩეს დღევანდელ სტრუქტურით, მაგრამ კომპეტენცია ჩამოყალიბდეს კანონში ისე, როგორც საქირაა“-ო. თუ რა შინაარსი უნდა ჰქონდეს ახალ კანონს, რომლითაც უნდა შეიცვალოს მიწის კოდექსის ამ ჟამად მოქმედი 161 მუხლი, ვ. გოგილაძე პირდაპირ არ ლაპარაკობს, ხოლო დასახელებულ წერილში მის მიერ წამოყენებულ ზოგიერთ დებულებათა მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საადგილმამულო სასამართლო ორგანოებს უნდა ჰქონდეს კომპეტენცია ისეთი საქმეების განხილვისა, „როგორცაა მემკვიდრეობის ნიადაგზე აღმოცენებული დავა, გზების, წისქვილების, სამოსახლოების და სხვა ამგვარი, რომელთანაც მიწათმოწყობას არავითარი კავშირი არა აქვთ“-ო, ე. ი. ისეთი საქმეების განხილვა, რომლებსაც ამ ჟამად საადგილმამულო სასამართლო ორგანოები იხილავენ და სწყვეტენო.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქმეების აღნიშნულ ჩამოთვლაში ისეთი საქმეებია ნახსენები, რომლებიც არ შეიძლება საადგილმამულო საქმეებათ ჩაითვალოს, მაგ. მემკვიდრეობის საკითხი. თუ კომლთან გვაქვს საქმე, აქ მემკვიდრეობა იხსნება იმ შემთხვევაში, როცა კომლის უკანასკნელი წევრი გარდაიცვლება, და მემკვიდრეობა იხსნება არა მიწისა, არამედ კომლის ქონების მიმართ. სამემკვიდრეო უფლების დადასტურება უნდა მოხდეს არა საადგილმამულო სასამართლო ორგანოს მხრივ, არამედ საერთო სასამართლოს წესით. გარდა მემკვიდრეობის საქმისა ვ. გოგილაძის ჩამოთვლაში აღნიშნულია წისქვილის შესახებ დავაც, რომელიც მისი აზრით უნდა განიხილოს საადგილმამულო სასამართლო. ეს მოსაზრებაც მიუღებელია, რადგან დავა წისქვილის შესახებ ყველა შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს დავად მიწის შესახებ. თუ დავა წისქვილის შესახებ უკავშირდე-

ბა უშუალოდ მიწის სარგებლობას, აქ უკვე ყურადღების ცენტრია მიწა და მიწაზე უფლების ცნობას შეუძლია გადაწყვეტოს დავა წისქვილის შესახებ. გარდა ამისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დავას მიწის სარგებლობის უფლების შესახებ, რომელსაც სწყვეტს საადგილმამულო სასამართლო ორგანოები, ვ. გოგილაძე სამიწათმოწყობო დავათ სთვლის. რომ ეს ასეა, სჩანს მის წერილის შემდეგი ადგილიდან: „**მუხლის შინაარსი (ე. ი. 161 მუხლის) პირდაპირ ლაპარაკობს სამიწათმოწყობო დავებზე: ვგუფობრივი, ინდივიდუალური მიწათსარგებლობა, საზოგადოებიდან მიწის გამოყოფა, სათემო მიწის განაწილება-ყველა ეს მხოლოდ და მხოლოდ სამიწათმოწყობო დავაა**“-ო. რაზეა აშენებული აღნიშნული დასკვნა, ძნელი სათქმელია. კანონის პირდაპირი აზრი კი სულ სხვა საგანზე ლაპარაკობს. აქ გათვალისწინებულია ყოველივე დავა მიწის სარგებლობის უფლების შესახებ და მასთან სიტყვიერ „როგორც მაგალითად“ დავის ზოგიერთ საფუძველებზე მითითებით განმარტებულია, რომ ეს დავა შეიძლება შეეხოს მიწის სარგებლობის ყველა ფორმას და ის აღმოცენდეს ყველა ფორმის მიწის სარგებლობაზე. აღნიშნულ ჩამოთვლაში არის ისეთი შემთხვევები, როგორც მაგალითად საზოგადოებიდან მიწის გამოყოფა და სათემო მიწის ხელახალი განაწილება, რომლებიც, რა თქმა უნდა, მიწათმოწყობას წარმოადგენენ, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ჩვენ უნდა გვესმოდეს მიწათმოწყობა, რომელსაც ანხორციელებენ საადგილმამულო ორგანოები. აღნიშნულ შემთხვევაში დავა საზოგადოებიდან მიწის გამოყოფის შესახებ აღიძვრება არა მიწათმოწყობის დროს, არამედ საადგილმამულო სასამართლო ორგანოში. ასეთივე მდგომარეობაა მაშინ, როცა დავა ეხება სათემო მიწის ხელახალ განაწილებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რამდენად კანონზომიერია ის პრაქტიკა, რომელიც გვერდს უხვევს კანონის პირდაპირ და მიზანშეწონილ დადგენილებას საადგილმამულო ადმინისტრაციულ ორგანოებისა და საადგილმამულო სასამართლო ორგანოების კომპეტენციის განსაზღვრის შესახებ, მათი მოქმედების, მოღვაწეობის ფარგლების გამიჯვნის შესახებ. ჩვენ ვეთანხმებით ვ. გოგილაძეს იმაში, რომ უსიცოცხლო და დღენაკლული კანონი რჩება მხოლოდ ქალაქზე. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლით სავსე კანონიც შეიძლება დარჩეს მხოლოდ ქალაქზე, თუ კი მის მოქმედებას ხელს უშლიან. ყოველ შემთხვევაში ის კანონი, რომელიც ითვალისწინებს ხსენებულ ორგანოთა კომპეტენციის გამიჯვნას, არ უნდა დარჩეს ქალაქზე, რადგანაც მიწის მოსარგებლეთა საადგილმამულო უფლებების დაცვა სწარმოებს კერძო თაოსნობით. უნდა შეიცვალოს ეს პრინციპი საადგილმამულო უფლებების კერძო თაოსნობით დაცვისა, ან ამ პრინციპს კანონმდებლობაში უნდა ჰქონდეს მოპარჯეების ვიწრო ფარგლები, რომ ის პრაქტიკა, რომელიც ვ. გოგილაძეს მოსწონს, უზენაეს ხელისუფლების მიერ იყოს სანქცია-ქმნილი თუ მთლად არა, ნაწილობრივ მაინც. მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის შესახებ ძირითად საწყისების პროექტის დამტკიცების შემდეგ ფარგლები კერძო თაოსნობით სა-

ადგილმამულო უფლებების დაცვისა შეიძლება შეიზღუდოს, მაგრამ ვიდრე ასეთი შეზღუდვა კანონმდებლობაში არ არის გატარებული ჩვენ უნდა ვიდგეთ იმ სახის რეგოლიუციური კანონიერების დაცვის გზაზე, რაც განმტკიცებულია კანონმდებლობაში. იმ გზისა და საშუალებათა შეცვლა, რომლითაც წესრიგდებიან საადგილმამულო ურთიერთობანი, შეუძლია მარტოდენ რესპუბლიკის უზენაეს ხელისუფლებას. ამიტომ ვიდრე ასეთი შეცვლა არ მომხდარა, დაკანონებული წესი უნდა იქნეს შესრულებული და დაცული.

კ. მიქელაძე.

კოლექტივი თუ დამცველთა კოლეგია?

ჯერ კიდევ ივნისში, საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის მიერ, ამხ. ამბერკი ურუშაძის ინიციატივით აღძრული იყო საკითხი დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის შესახებ იმ აზრით, რომ ძირიანად შეცვლილიყო სისტემა მცხოვრებთათვის იურიდიულ დახმარების აღმოჩენისა, მაგრამ დღემდის ადგილი აქვს არა ნორმალურ მდგომარეობას, როგორც დამცველთა კოლეგიის კორპორაციის სტრუქტურაში, აგრეთვე მის მუშაობის სისტემაში. ეს, ავტონომიური ანუ როგორც თავის თავს ტრადიციულად უძახიან, ვექილთა „წოდება“, განაგრძობს მცხოვრებთათვის იურიდიულ დახმარების აღმოჩენას ძველებურად, ვექილთა „წოდების“ წევრის კლენტთან კერძო და ინდივიდუალურ შეთანხმების გზით.

იმ დროს, როდესაც შრომის კოლექტივიზაციის საკითხი საზოგადოთ, ჩვენი მუშაობის, თითქმის ყოველ დარგში ტარდება, როდესაც შრომის კოლექტივიზაცია—არის პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა და ბოლოს ეს არის ძირითადი ხაზი, რომელიც გამომდინარეობს საბჭოთა მშენებლობის პრინციპებიდან საზოგადოთ, ცხადია, განცვიფრებას იწვევს ასეთი „კერძო ფირმის“ არსებობა, რომელიც ჩამოსხმულია კერძო ფორმაში და არ წარმოადგენს დამცველთა კოლეგიის ნადისებურ ორგანიზაციას.

დამცველთა კოლეგიის რეფორმას მოითხოვს არა მარტო ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური პირობები, არამედ თვით ჩვენი გამარტივებული სამართლის წარმოებაც.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იუსტსახკომის პროექტში გამოთქმული აზრი გაზიარებულ იქნა დამცველთა კოლეგიის სალი ნაწილის მიერ და იმავე იუსტსახკომის ინიციატივით დაარსებული იყო სპეციალური კომისია პროექტის დეტალიზაციისათვის და კოლექტივის შესახებ დებულების გამოსამუშავებლად, რომელიც შემდეგ უნდა ჩამოყალიბებულიყო კანონის ფორმაში. ამ საკითხმა გამოძახილი ჰპოვა კორპორაციის დიდ ნაწილში, დაწვრილებით იყო გაშუქებული პრესაში ამხ. ვარძიელის მიერ და ერთ აქტიურ მომუშავემ დამცველთა კოლეგიის წევრმა ს. ტერ-გრიგორიანმა გამოუშვა კიდევ სპეციალური ბროშურა (პროექტი), რომელშიაც დეტალურად და ზედმიწევნით გააშუქა დამცველთა კოლეგიის წევრების შრომის კოლექტივიზაციის როლი და მნიშვნელობა.

იუსტ. სახ. კ—ტის პროექტის გარშემო გაიმართა „მსჯელობა და შეტანილი იქნა ნაწილობრივი ცვლილებანი ორგანიზაციის მხრივ, მაგრამ სამწუხაროთ მას შემდეგ გაიარა ოთხმა თვემ და პრაქტიკულ ნაბიჯების შესახებ არაფერი არ ისმის.

რეგოლიუციური მიზანშეწონილება და კანონიერება კი მოითხოვს მომწიფებულ საკითხის სასწრაფოდ გადაჭრას. საქმის ნათლად წარმოგენისათვის საჭიროა მოკლეთ განვიხილოთ დამცველთა კოლეგიის მუშაობის ამჟამათ არსებული წესი და ისიც თუ, როგორაა ეს პროექტით გათვალისწინებული.

ამ ჟამათ დამცველთა კოლეგიის წევრების მუშაობა პრაქტიკა დაკვირვების, გავლენის და ხელმძღვანელობის სფეროთა გარეშე მიმდინარეობს. მართალია არსებობს დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი, მაგრამ მას არ შეუძლია თვალყური ადევნოს და უხელმძღვანელოს დამცველთა კოლეგიის წევრების მოღვაწეობას მთლიანათ. წინასწარი მოლაპარაკება დამცველთა კოლეგიის წევრების კლიენტებთან ხდება სახლში, ქუჩაში, სასამართლოს დაწესებულებათა დერეფნებში (გარდა სასამართლოს სხდომებზე მონაწილეობისა), და საზოგადოთ ისეთ პირობებში, რომელიც მოწყვეტილია, ფართო მშრომელთა მასის ინტერესებიდან. კორპორაციის ზოგიერთ ამორალურ ელემენტების კულისებს იქით მოღვაწეობა კი ბუნებრივათ ჩირქსა სცხებს კორპორაციის პატიოსან წევრებსაც. ვერავინ ვერ უარყოფს ასეთ ტაპების არსებობას და აქედან გამომდინარე საბჭოთა საზოგადოებრივობის უარყოფით აზრს მთელ კორპორაციის შესახებ.

იატაკ ქვეშ მომუშავე და აივნის ვექილები და მათი ახლო „ნათესაეები“ ზოგიერთი დამცველთა კოლეგიის წევრები, რომელნიც მუშაობენ მაქანკლების საშუალებით, ჰქმნიან შესაფერ ნიადაგს ერთი მხრივ კეთილსინდისიერ ვექილთა პრაქტიკის შემცირებისათვის და მეორე მხრივ იწვევენ მოქალაქეებში სრულიად ბუნებრივ უკმაყოფილებას მთელი კორპორაციის მიმართ. რასაკვირველია, ასეთ პირობებში არავითარ ნდობას, ავტორიტეტს და დამცველთა კოლეგიის წევრების პოპულარობას ადგილი არა აქვს და არავითარ ეთიკაზე, დისციპლინაზე, სოლიდარობაზე და საზოგადოთ რაიმე მიზანშეწონილ ორგანიზაციაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

არის ჯერ კიდევ ისეთი გულუბრყვილო ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ სწამს რაღაც „ტრადიციულ“ ნაფიც ვექილთა ეთიკის არსებობა; მათ თავმოყვარეობას აკმაყოფილებს და სიამაყით ავსებს რწმენა, რომ სახელოვანი წოდებრივი ტრადიციების დანგრევა შეუძლებელია. კულტურულ რეგოლუციამ გვერდზე გაუარა ასეთ ხალხს და ზოგმა მათგანმა კი განჭრახ აუხვია მას გზა. „ათ დღე“ მ შესძრა მთელი ქვეყანა და რეგოლიუციის ათმა წელმა ვერ დასძრა მკვდარ წერტილიდან ზოგიერთი დამცველთა კოლეგიის დახავსებული წევრი. დამცველთა კოლეგიის წევრების მიერ ჰონორარის თვითნებურათ გადაწყვეტა, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებზე, კლიენტის სოციალური მდგომარეობის მხედელობაში მიუღებლად ბუნებრივად ითვლება. ასეთ დაფარულ მოღვაწეობისათვის თვალყურის დევნა პრეზიდიუმს რასაკვირვე-

ლია, არ შეუძლიან, რადგან მოქმედება სწარმოებს დამცველთა კოლეგიის კერძო ცხოვრებაში, კერძო და განმარტობულ წესით. დაუსრულებელ წმენდამაც ვერ შესცვალა კორპორაციის არსებული მდგომარეობა. ამგვარად, დამცველთა კოლეგიის წევრების საუკეთესო ნაწილს პრაქტიკის შემცირება და საქმეების სრულებით უქონლობა ზოგიერთ მათგანის მიერ აიხსნება ჩამოთვლილ დეფექტებით.

ახლა რამდენიმე სიტყვა კოლექტივის შესახებ, რომელმაც, ჩვენის აზრით, ძირიანად უნდა შესცვალოს როგორც სტრუქტურა, აგრეთვე მუშაობის სისტემა და შექმნას ახალი წესი მოსახლეობ-სათვის იურდიული დახმარების აღმოჩენის საქმეში.

კოლექტივში წევრად შესვლის უფლება უნდა ჰქონდეს ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც დააკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს, რაც აღნიშნულია დამცველთა კოლეგიის შესახებ დებულებაში და თვით ამ დებულებაში უნდა იქნეს შეტანილი ზოგიერთი ცვლილებანი.

კოლექტივს მეთაურობს გამგეობა, საბჭო ანუ პრეზიდიუმი (სახელწოდებას მნიშვნელობა არა აქვს), რომელიც ირჩევა კოლექტივის საერთო კრებაზე ვადით არა უმეტეს ერთი წლისა. არჩეული ორგანო ხელმძღვანელობს კოლექტივს და საერთო კრებას აძლევს ანგარიშს თავის მოქმედებაში.

გამგეობის ფუნქციებს შეადგენს: კლიენტების განცხადებების და საქმეების მიღება წარმოებისათვის, დანიშნა სასამართლოებში ყველა საქმეზე კოლექტივის წევრების და მათი აღრიცხვა, იუსტისხომის მიერ გამოძევაზე ნიხრის მიხედვით ჰონორარის გადაწყვეტა და საზოგადოთ მოლაპარაკების წარმოება კლიენტებთან. საქმეების უფასოდ წარმოება ხდება კლიენტის ქონებრივ-მდგომარეობის მიხედვით, რომელიც დადასტურებული უნდა იქნეს სათანადო საბუთებით. შემოსული თანხები გროვდება კოლექტივის სალაროში და შემდეგ განაწილებული იქნება კოლექტივის წევრებს შორის ყოველთვიურად, გამოანგარიშებით იმ ხარჯების, რომელიც საჭიროა აპარატის შესანახად; ამასთანავე ამ განაწილების დროს ანგარიშში უნდა იქნეს მიღებული თვითეთლ მათგანის კვალიფიკაცია, საქმის სირთულე და დრო, რომელიც მოანდომა მას კოლექტივის წევრმა. ყოველი წევრი აწარმოებს აღრიცხვას მისთვის ჩაბარებულ საქმეების და მათი გათავების შემდეგ აძლევს დაწვრილებით ანგარიშს კოლექტივს. ორგანო, რომელიც მეთაურობს კოლექტივის საქმეებს, აწარმოებს აგრეთვე კოლექტივის ახალ წევრების მიღებას და გამორიცხვას, რაც შემდეგ დადასტურებული უნდა იქნეს კოლექტივის საერთო კრებით, აწესებს სადისციპლინო სასჯელს ყველა დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია კოლექტივის წევრების მიერ, და აგრეთვე რიცხავს კოლექტივის წევრებს გარკვეულ ვადით; აარსებს ადგილობრივ კონსულტაციებს და ხელმძღვანელობს მათ მუშაობას. ასეთია ზოგადათ კოლექტივის ფუნქციები. ამ ყაბათ არსებულ მდგომარეობის და პროექტით გათვალისწინებულ მომავალის დაპირისპირებით საბჭოთა საზოგადოებრივობამ უნდა გამოიტანოს თავისა დასკვნა იმის შესახებ, თუ რომელი სისტემა უფრო მისაღებია.

ზოგიერთი ამხანაგების აზრით იურისკონსულტები არ უნდა შედიოდნენ კოლექტივში, ზოგი კი თუმცა არ არის წინააღმდეგი მათი კოლექტივის წევრებათ ყოფნის, მაგრამ აუცილებელ პირობათ სთვლიან მათ მიერ მიღებულ ხელფასის კოლექტივის სალაროში შეტანას. ჩვენ არ ვიზიარებთ ამხანაგების ამ თვალსაზრისს და ვამბობთ, რომ იურისკონსულტები უნდა იყვნენ კოლექტივის, წევრებათ და თანასწორათ სხვებთან უნდა გასწიონ შრომა, მხოლოდ უფასო საქმეების წარმოებით და კონსულტაციებში მორიგეობით. თავის ხელფასი არ უნდა შეიტანონ კოლექტივში და არც შეუძლიათ, რადგან ამ მხრივ შეხვედრებათ ბევრი ტექნიკური დაბრკოლება, რომელიც გამოწვეული იქნება სხვადასხვა ანგარიშების, მივლინების ხარჯების და სხვადასხვა გამოთვლების არევით. მათი რეალური ხელფასი ყოველივე ცვალებადობას განიცდის და ყველა ამ ანგარიშის იმ დაწესებულების სალაროდან, სადაც იურისკონსულტი მსახურობს, კოლექტივის სალაროში გადაცემა შეიტანს გაუგებრობას დაწესებულების ანგარიშებში და ძნელი წარმოსადგენია, რომ დაწესებულება ამაზე დასთანხმდეს. ამა თუ იმ იურისკონსულტის განთავისუფლება ამ თანამდებობიდან აძლევს მას უფლებას მექანიკურად გადავიდეს კოლექტივში, ყველა აქედან გამომდინარე უფლებებით და მოვალეობებით.


ჩვენ ზოგადათ მოგხაზეთ დებულება კოლექტივის შესახებ, ეს დებულება, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, თეზისები მოითხოვენ დეტალურ დამუშავებას და შევსებას სპეციალურ კომისიაში. ამ საკითხის გარშემო დამცველთა კოლეგიის წევრებს შორის ერთი აზრი არ არსებობს. ნაწილი, მართალია აბსოლუტურად მცირე რიცხვანი, კოლეგიის წევრების „ზედა ფენი“ თუმცა პრინციპიალურათ არ არის წინააღმდეგი კოლექტივის დაარსების, მაგრამ მას ეშინიან, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, არ სურს გამოეთხოვოს ძველ ტრადიციებს, დაჰკარგოს „ავტონომიური“ წოდებრივი დანიშნულება ვეჟილისა, მათი თუ შეიძლება ასე უწოდოთ, საწინააღმდეგო გამოსვლა მდგომარეობს ლაკონიურ განცხადებებში, რომ კოლექტივა ვერ გაამართლებს თავის არსებობას, კლიენტები მიეჩვიენ თავისუფლად გამოსთქვან თავის სურვილები და პარადათ აირჩიონ ვეჟილი, რომ ისინი არ მიმართავენ კოლექტივს და სხვა ასეთი. როგორც ხედავთ, ყველა ეს განცხადებანი არაფერზე არ არიან დამყარებული, უნდადაგოა, ლიტონი სიტყვებია.

ჩვენ კატეგორიულათ ვაცხადებთ: ძირს დამცველთა კოლეგიის არქაიულ დროის წოდებრივი კორპორაცია, გაუმარჯოს შრომის კოლექტივს. სიტყვა და საქმე იუსტიციის სახალხო კომისარიატს ეკუთვნის.

ვანო მაისურაძე.

საკავშირო კანონი შრომის კონსულიტების განხილვის ახალ წესების შესახებ.

შრომის გამოყენების პირობათა მოწესრიგება და აქედან გამომდინარე კონფლიქტების გადაწყვეტა წარმოადგენს ერთ უძირითადეს პრობლემას საბჭოთა ხელისუფლების ამოცანათა რიგში.



შრომის კონფლიქტების განაღდება ხასიათდება რაღაცეა, ინსტანციათა სიმრავლით, ამასთანავე შირებით გაქიანურების წესითაც.

რუსეთის შრომის სახალხო კომისარიატმა გამოჰყო სპეციალური კომისია შრომის კონფლიქტების გაქიანურების საკითხის შესასწავლად. იქ აღმოჩნდა, რომ თვითეულ შრომის საქმეს შეუძლია გაიაროს 24 ინსტანცია, რის გამო ლარინი სამართლიანად შენაშნავდა შემდეგს: „გასაგებია, რომ თვითეულ უბრალო მუშასათვის ან მოსამსახურისათვის არ არის ადვილი ასეთ ინსტანციათა გადალახვა მით უმეტეს, რომ მზარეული ქალისათვის (ყუჩარქა) შესწავლა სახელმწიფო მმართველობისა „ასეთ სისტემის არსებობას დროს ძნელი საქმეა.“

ლარინის ცნობილი პროექტი და მასზე აღმოცენებული დისკუსია, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აუცილებლივ საჭიროა გამარტივება საკონფლიქტო-სამართლო სისტემისა. ამხანაგი ლარინი თავის პრაქტიკულ წინადადებას შემდეგი ფორმულით ათავებს:

„ამიტომ არა მარტო პოლიტიკური, არამედ საქმიანი მოსაზრებანიც ერთობლივად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ შეცვლილ უნდა იქნეს კანონი იმ მიმართებით, რომ აცილებული იქნეს შესაძლებლობა ბიუროკრატიული ვოლოკიტისათვის“. აღნიშნულ დისკუსიის შედეგად ჩვენ გვაქვს ახალი საკავშირო კანონი, რომელმაც რადიკალურად შესცვალა ძველი სისტემა შრომის კონფლიქტების განხილვისა. ამჟამად 24 ინსტანციის მაგიერ ჩვენ გვაქვს II ინსტანცია. გზა ვოლოკიტისათვის საკმაოდ შემოკლებულია (თუმცა II ინსტანციაც საკმარისია საქმეთა გაქიანურების და ბიუროკრატიული ტრენდენციებისათვის).

ამ წერილში ჩვენ გვსურს შევხვთ აღნიშნულ კანონის ძირითად პრინციპებს.

შრომის კანონმდებლობის მიხედვით შრომის კონფლიქტების განსახილველად შემდეგი ორგანოები არსებობენ: ა) გამრჩევი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია, მომრიგებელი კამერა და სამედიატორო სასამართლო. (ეს ორგანოები ეწყობა მხარეთა შეთანხმებით და პარიტეტულ საფუძველზე მხარეთა წარმომადგენლობით. უკანასკნელთათვის დაწესებულია განსაკუთრებული დებულებანი და მათი მოქმედების ფარგალი აღნიშნულ დებულებებით განისაზღვრებანი); ბ) შრომის საქმის სესიები, რომლებიც ორგანიზაციულად ყალიბდებიან მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით; აქვე იხილავენ ისეთ საქმეთა კატეგორიას, რომელიც მოიცავს შრომის კანონმდებლობის ნორმების დარღვევას (კოლექტიურ ხელშეკრულებათა დარღვევა, სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობათა დარღვევა, მიღება-დათხოვნა და სხ.) და იდენებიან სისხლის სამართლის წესით.


ახალი კანონით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია არის პირველადი ინსტანცია ძირითად კონფლიქტებისათვის, სადაც იხილავენ კონფლიქტთა უდიდეს რაოდენობას. აღნიშნულ კომისიას ექვემდებარებიან შემდეგი საკითხები: ა) კოლექტიურ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ პირობებში დამტკიცება გამომუშავებ-

ითი ნორმებისა, ნარდათ მუშაობის ჩატარების შეფასება სამუშაოთა და თანამდებობის ნომენკლატურის — გარიგება სატარიფო ხარისხის მიხედვით; დაქირავებულის დაუდევრობით ხელსაწყოს ნაწარმოების და მასალის გაფუჭებისათვის ხელფასიდან გამორიცხვა და ასეთისათვის პროცენტული ნორმის შეფარდება-სამუშაოზე მიღებისას საგამოცდო ფორმების დაწესება, შრომის პირობების შესახებ საკითხი და ყველა ის, რაც კანონით ან კოლექტიური ხელშეკრულებით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას სპეციალურად მიეკუთვნება; ბ) განხილვა ყველა კონფლიქტებისა, რაც აღმოცენდება დამქირავებელთა და დაქირავებულებს-შორის შრომის კანონთა კოდექსის შეფარდების დროს შრომითი და კოლექტიური ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შეუსრულებლობის ნიადაგზე ან შინაგანი განაწესის დარღვევაზე.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების განხილვის არ ექვემდებარებიან ისეთი საკითხები, რომლებიც ეხებიან: 1) ისეთ კატეგორიის მუშაკებს, რომლებიც განსაკუთრებული ნდობით სარგებლობენ და ითვლებიან პოლიტიკურ, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და საბჭოთა პასუხისმგებელ თანამდებობაზე (უზენაეს სასამართლოს 15 აპრილის 27 წლის დადგენილება საკავშირო შრომის სახ. კომისარიატის 25 წლის დადგენილების საფუძველზე); 2) საკითხები, რომლებიც შრომის სესიებში, სამედიატორო სასამართლოში და მომრიგებელ კამერებში ირჩევიან 3) კონფლიქტები, რომლებიც წარმოსდგებიან დამქირავებლებსა და დაქირავებულთა შორის ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებებთან დაკავშირებით; 4) თანამდებობრივი ხელფასის განაკვეთთა შეცვლის საკითხი, რომლებიც გამომდინარეობენ სახელმწიფო ხელფასის ნორმირაციის მოწესრიგებიდან; 5) საკითხები, რომლებიც ეხებიან დისციპლინარულ გადასახდელის დადებას დამქირავებლის განკარგულებით (საყვედურის გამოცხადება, სამუშაოდან დათხოვნა, დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება და სხვა); 6) შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას არ აქვს უფლება გამოიტანოს გადაწყვეტილება ისეთი საკითხების ირგვლივ, რომლებიც სცვლიან, აუქმებენ ან სხვ. კოლექტიურ ხელშეკრულებებს, თუ ასეთი სპეციალურად არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებებში.

თუ აქამდე არსებული კანონმდებლობით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში დავის განხილვა დაქირავებულებისა და დამქირავებელთა სურვილზე იყო დამოკიდებული, ამ ჟამად ეს წესი სრულიად შეცვლილია და შ. ს. კ. აუცილებლად ექვემდებარებიან შემდეგი საკითხები:

- 1) ერთი სამუშაოდან მეორე სამუშაოზე გადაყვანა და მასთან დაკავშირებით ხელფასის შენახვა ან გასასვლელი დახმარების მიცემა;
- 2) ხელფასის გაცემა გამომუშავებითი ნორმების შეუსრულებლობისას;
- 3) დათხოვნა უფარვისობის ნიადაგზე და მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის;
- 4) კომპენსაცია ინსტრუმენტისათვის, რომელიც დაქირავებულს ეკუთვნის;



5) სპეცტანისამოსის და სპეცკვების გაცემა და სათანადო შემთხვევებში ფულადი კომპენსაციის გაცემა აღნიშნულზე; შემოკლებული სამუშაო დღის და შევებულე-ბის გაგრძელების საკითხის მოწესრიგება;

6) სხვა და სხვა კვალიფიკაციის სამუშაოს შესრუ-ლებისას ხელფასის გაცემა დაქირავებულზე;

7) განაცდენი დროისათვის ხელფასით დაკმაყოფი-ლება;

8) ხელფასის გაცემა სანარდო მუშაობის მომზადე-ბისათვის;

9) დაქირავებულის დაუდევრობით ხელსაწყოს, ნა-წარმოებისა და მასალის გაფუჭებისათვის ხელფასიდან გამორიცხვა მათი ღირებულების რაოდენობისა;

10) ხელფასის გაცემა სამუშაოდან გადაყენების მო-მენტიდან;

11) ფულადი კომპენსაციის გაცემა მიუტემელ შეე-ბულებისათვის;

12) ხელფასის რაოდენობის განსაზღვრა საგამოცდო პერიოდში;

13) პრემიალური ჯილდოს გაცემა მომუშავეზე;

14) ზედმეტი მუშაობის ჩატარებისათვის ხელფასის გაცემა;

15) გასასვლელი დახმარების გაცემა იმ შემთხვე-ვაში, როცა შრომითი ხელშეკრულება გაუქმებული იქნება დამქირავებლის მიერ.

ამასთან დაკავშირებით სარჩელთა აღძვრისათვის შემოღებულია მოკლე ვადები. სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევებში განსაჩივრებისათვის დაწესებულია 14 დღე ზედმეტი მუშაობის ჩატარებისათვის—ერთი თვე, ყველა დანარჩენ საკითხებისათვის 3 თვე. აღნიშნული ვადები გამოანგარიშებულ უნდა იქნენ სამუშაოდან დათხოვნისას მოვალეობათა შეუსრულებლობას დროს—იმ მომენტიდან როდესაც დამქირავებლის მოქმედება აძლევს უფლებას დაქირავებულს აღძრას საკითხი ადმინისტრაციის უკანო-ნო მოქმედების შესახებ; დათხოვნის დანარჩენ შემთხვე-ვებში—იმ მომენტიდან, როცა მომუშავეს წარადგინება მისაღებათ საბოლოო ანგარიში; ყველა დანარჩენ საქმეზე კი—იმ დღიდან, როდესაც წარმოიშობა უფლება სათა-ნადო მოთხოვნის წარდგენისათვის.

მეტად მნიშვნელოვანია წესების 19 მუხლი, სადაც შემდეგი ნორმაა მოცემული: შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დადგენილება, რომელიც ამტკიცებს დამქირა-ვებლის უკანონო განკარგულებას, ბათილია და უკანა-სკენლს არ ანთავისუფლებს სათანადო შემთხვევებში დის-ციპლინარულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პა-სუხისმგებლობისაგან.

აღნიშნულ მუხლს მხედველობაში აქვს განსაკუთრებით ისეთი მდგომარეობა, როცა შემფასებლის მუშათა ნაწილი ექცევა ადმინისტრაციის ზეგავლენის ქვეშ, არ აქვს შეგნე-ბული თავისი მოვალეობა და ვერ იცავს მუშა-მოსამსა-ხურეთა ინტერესებს.

თუ საკითხის განხილვისას შემფასებელ-საკონფლი-ქტო კომისიაში აღმოჩნდება დამქირავებლის დანაშაულო-ბრიობა სამეურნეო დარგში და საზიანო მოქმედებანი და აგრეთვე სისტემატიური დარღვევა შრომითი კანონ-

მდებლობისა, მუშათა ნაწილი ვალდებულია აცნობოს ასეთი ფაქტები პროკურატურას.

საქმეები, რომლებიც განიხილებიან შემფასებელში და რომლების შესახებ შეთანხმება არ იქნება მიღწეული, მხარეთა შორის, უნდა გადაეცეს განსახილველად ა) შრო-მის ახალ პირობების შესახებ—შემარჩევებელ კამერებს ან სამედიატორო სასამართლოს, ბ) ხოლო კონფლიქტები, რომლებიც სასარჩელო ხასიათისაა—შრომის საქმეთა სე-სიებს. აქედან ცხადია, რომ კონფლიქტთა წარმართვის საქმეში სათანადო მიჯნაა გატარებული და ეს საგრძნო-ბლად აადვილებს დავის საბოლოოდ გადაწყვეტას და მშრომელთა საქმეების თავის დროზე დამთავრებას. შემ-ფასებელ-საკონფლიქტო კომისიების უფლებათა გაფარ-თობა, რაც მოხდა საკავშირო მუშათა და გლეხთა ინ-სპექციის ინიციატივით, სრულიათ ამართლებს იმ აზრს, რომ მუშათა საზოგადოებრიობას წარმოება-დაწესებულე-ბათა უჯრედებში უკეთ შეუძლია რეალური და ფაქტიური საზომით მიუდგეს საკითხის განსჯას, მოთხოვნათა სა-მაროლიანობას და სხვა, ვადრე რომელიმე სხვა ინსტან-ციას.

რა ამოცანა ისმება პროფესიონალურ ორგანიზა-ციების წინაშე? უკანასკნელთ ევალებათ ასწიონ ძირითად პროფ. უჯრედების მუშათა კვალიფიკაცია განსაკუთრე-ბით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის ნაწილისა. ძი-რითად უჯრედებში უსათუოდ ავტორიტეტული პირები უნდა იქნენ წამოყენებული, რომ უკანასკნელნი არ მოე-ქცნენ ადმინისტრაციის ზეგავლენის ქვეშ; უნდა მოხდეს ახალი კანონის ფართო პოპულარიზაცია მუშათა მასაში. ამ მიმართულებით შრომის კომისარიატმა და პროფკავ-შირთა საბჭოს სატარიფო-ეკონომიურმა განყოფილებამ უნდა გადასდგან სათანადო ნაბიჯი.


ნ. ჯინჟარაძე.

(გაგრძელება იქნება)

ორიოდე სიტყვა მიწის ყიდვა-გაყიდვაზე.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 17 ნომერში მო-თავსებულია წერილი შემდეგი სათაურით „მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ“. მაგრამ ძნელი გასარკვევია, თუ რა მიზანს ისახავს აღნიშნული წერილის ავტორი მოქ. მ. ნა-სიძე. ალბათ მისი აზრით წერილს მიზნათ აქვს, ისეთი საზოგადოებრივად და სოციალურად საშიშ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორცაა მიწის ყიდვა-გაყიდვა. მაგრამ ჩვენის აზრით კი, ეს არის მოწოდება გლეხობისა ამ დანაშაულის ჩადენისაკენ და ამდენად ხელის შეწყობა ისედაც ფესვებ გადაგმულ, აშკარა და პირდაპირ საწინა-აღმდეგო სოციალისტურ საფუძვლებისა, მიწის ყიდვა-გაყიდვისა.

ავტორი მიწის ყიდვა-გაყიდვის გავრცელებას ხსნის ორი გარემოებით: პირველი, რომ „კანონი ვერ შეეგუება ცხოვრებას“ და მეორე ის, რომ „სასამართლოებს აკლიათ კლასიური მიდგომა საკითხისადმი“. პირველი მოტივი „კანონი რომ ვერ შეეგუება ცხოვრებას“ საშინლად გაუ-გებარი და მასთან ახირებული გამოთქმაა. აქედან გამო-დის, რომ თუ კანონი ვერ შეეგუება ცხოვრებას, მაშინ



ცხოვრება უნდა შეეხუოს კანონს, ამრიგად კანონი კი არ ყოფილა ცხოვრებისათვის შექმნილი, არამედ პირიქით ცხოვრება კანონისათვის. ეს აზრი და გამოთქმა კანონისა წმინდა რომაელი იურისტების გამოთქმაა, რომლებიც ამბობდნენ „თუნდაც ხალხი მთლად გასწყდეს, ოღონდ კანონი არ დაირღვეს“. ამ აზრის გადმოტანა დღეს ჩვენ საზოგადოებრივ სინამდვილეში ყოვლად შეუძლებელი და დაუშვებელია. ჩვენ პირიქით ვამბობთ, რომ კანონებია შექმნილი ცხოვრების მოთხოვნებით, ის უნდა ემსახურებოდეს არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილების დაცვას და ამდენად კიდევაც უნდა ეგუებოდეს მას.

რაც შეეხება მეორე მოტივს „კლასიური მიდგომის უქონლობას სასამართლოებისას“, მას ავტორი შემდეგნაირად ხსნის. „სასამართლოები ეძებენ მხოლოდ ერთს — დამნაშავეს, დანარჩენ გარემოებათ კი, როგორცაა ოდენობა ნასყიდობის ობიექტისა, კლასიური მიდგომარეობა დამნაშავეთა, მიზანშეუწონლობა მეურნეობის თვალსაზრისით ყიდვა-გაყიდვის გარიგებისა და სხვა ყურადღებას არ აქცევენ“. გეგარჩიით ყველა ჩამოთვლილი გარემოებანი, ჩვენ ვიცით, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვის უამრავი შემთხვევები ეხებიან უმთავრესად სამოსახლო ადგილების ყიდვა-გაყიდვას. თანახმად მიწის კოდექსის 84 მუხლისა, როცა სამოსახლო 300 კვ. საყენზე ნაკლებია, სოფლის მეურნეს ასეთზე ახალი სახლის აგება აეკრძალება. ამრიგად კანონმდებელს სამოსახლო ადგილის მინიმუმი განსაზღვრული აქვს 300 კვ. საყენით და როდესაც მოქ. ნასიძე ლაპარაკობს ოდენობის შესახებ ალბათ მხედველობაში აქვს კანონის აღნიშნული მუხლი. ამრიგად უნდა დავასკვნათ, რომ თუ ნასყიდობის ობიექტი — „მიწა“ 300 კვ. საყენზე ნაკლებია, მაშინ არ უნდა დასაჯონ ასეთი გარიგების მონაწილენი თანახმად ნასიძის „თეორიისა“, თუ ასევე ვიმსჯელებთ სახნავი მიწების შესახებ, ალბათ აქაც მეურნეობის და ოდენობის თვალსაზრისით 300 კვ. საყენზე ნაკლების ან თუ შეიძლება მეტისაც — მყიდველ-გამყიდველნი არ უნდა ისჯებოდნენ. თავის მოსაზრებათა განსამტკიცებლად ავტორს მოჰყავს „მეჩუტეს“ ამბავი და აცხადებს, რომ სახელმწიფოს რაში გამოადგება საადგილმამულო ფონდში გადარიცხული 6 კვ. საყენი მიწა. ჩვენ კიდევ მეტს ვიტყვი, სახელმწიფოს სწორედ მეურნეობის თვალსაზრისით არ გამოადგება არა თუ 6 კვ. საყენი მიწა, არამედ არც 299 კვ. საყენიც, აქედან დასკვნა. რადგანაც არ გამოადგება, არც უნდა სჯიდეს სასამართლო ასეთების მყიდველთა გამყიდველთ. ეს ჩვენის აზრით ყოვლად უმართებულო და დაუშვებელია.

რაც შეეხება „დამნაშავეთა კლასიურობას“, ამის შესახებ ვიტყვი, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა ხდება უმთავრესად სოფლად და სოფლად კი უსათუოდ საქმე გვაქვს გლეხობასთან. მაგრამ საკითხია, რომელ გლეხობასთან? კულაკებთან თუ ღარიბ-საშუალო გლეხობასთან? თუ თვალს გადავავლებთ ამ კატეგორიის დამნაშავეებს, დავრწმუნდებით რომ თუ მთლად 100 პროც. არა, 90 პროც. მაინც სოფლის კულაკურ-ჩარჩულ ელემენტები ახდენენ ასეთ დანაშაულობათ.

უდავოა ის გარემოება, რომ ხსენებული წერილის ავტორს მივეყვართ იქითკენ, რომ მოეხსნათ მიწის მყიდველ-გამყიდველთ სისხლის სამართლის წესით დევნა და მიეცეთ საშუალება თავისუფალი მოქმედებისა მიწის ყიდვა-გაყიდვის სფეროში.

ამასთანავე წერილის ავტორს მოჰყავს რ. ს. ფ. ს. რ. უზენაეს სასამართლოს განმარტება „კანონის შეუგნებლობით დარღვევის შესახებ“. მაგრამ დღეს, როდესაც ბავშმაც კი იცის, რომ მიწაზე კერძო საკუთრება გაუქმებულია და მისი ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია, შეუძლებელია ვილაპარაკოთ კანონის არცოდნაზე და შეუგნებლობაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოქ. ნასიძე არ არის კმაყოფილი ისეთი მკაცრი სასჯელისა, როგორც დადებულია მიწის მყიდველ-გამყიდველებზე და მოუწოდებს სასამართლოებს, რომ ასეთები მოსპობილ იქნეს ს. ს. კ. 14 მუხლით. ასე მოქცეულა ერთ-ერთი სასამართლო. ჩვენის აზრით, ამგვარი საქმეების მოსპობა ს. ს. კ. 14 მუხლით სრულიად არ შეეფერება თავისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ხასიათით მე 14-ე მუხლის შინაარსს.

ჩვენ ვამბობთ, რომ ეს დანაშაული იმიტომ კი არ არის გავრცელებული, რომ „კანონი ვერ შეეგუება“ ცხოვრებას ან და რომ „სასამართლოებს აკლიათ კლასიური მიდგომა საკითხისადმი“, არამედ იმიტომ, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტს, სახელდობრ მიწაზე ათეული საუკუნეების ისტორია აქვს და გლეხობა დღემდე ვერ შეგუებია აღნიშნული ინსტიტუტის მოსპობას, რის გამოც საჭიროა მედგარი ბრძოლის წარმოება მიწის მყიდველ-გამყიდველთა წინააღმდეგ, რაც სავსებით ხორციელდება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით.

ამრიგად ჩვენ ვამბობთ, რომ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა მიწაზე კერძო საკუთრება სამუდამოდ არის გაუქმებული და ხელისუფლება არავის ნებას არ მისცემს მიწის ისეთი განკარგულება იქონიოს, რაც მოგვაგონებს კერძო მესაკუთრის უფლებას მიწაზე.

სახ. მოსამართლე: გ. ორჯონიკიძე.

სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

რომ სასამართლო ორგანოთა მუშაობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში, სახელდობრ იმ მხრივ, რომ იგი აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას, ამყარებს და ამტკიცებს დისციპლინას და უშუალოდ, სოციალურ ღონისძიებათა შეფარდებით, ებრძვის დანაშაულს, ეს ვგონებ აშკარაა არა მარტო იუსტიციის დარგის მომუშავეთათვის, არამედ ჩვენს კავშირის სხვა პარტიული, პროფესიონალურ და სახელმწიფო ორგანოთათვისაც. სწორი კლასიური პოლიტიკა გლეხობის მიმართ სოფლად და მუშებისა ქალაქად, გაღრმავება საპროკურორო ზედამხედველობისა, რომლის მოვალეობაა წინასწარ აღკვეთოს და ბოლო მოუღოს საერთო, პარტიულ სახელმწიფო ხაზის ყოველგვარ დარღვევას და გადახვევას, საზოგადო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დანაშაულთ სწრაფი წინასწარი გამოძიება,

აი ის უდიდესი ამოცანები, რომელიც დღეს დაკისრებულია სასამართლო ორგანოებზე და რომელთა გადაწყვეტით შესაძლებელია რევოლუციური კანონიერების განმტკიცება, ეს კი აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი მუშაობისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის წარმატებისათვის.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მომუშავეთა შერჩევა საპასუხისმგებლო სასამართლო თანამდებობაზე უნდა დიდა სიფრთხილით და ყურადღებით ხდებოდეს. რამდენად სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, ჩვენ შეგვიძლიან დაერწმუნდეთ თუნდაც იქიდან, რომ შორაპნის მაზრის ერთ-ერთმა მოსამართლემ არა თუ სცნო შემზოკველი ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო ამ თორტმეტი წლის წინად, არამედ საადგილმამულო დავა გადასწყვიტა, აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით კულაკის სასარგებლოდ და დაზარალა ღარიბი გლეხი, რომელიც სადავო მიწაზე ფაქტიურად მუშაობდა ათ წელზე მეტი დრო. თურმე ჩვენ მოსამართლეთა შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც არ იციან საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონები, არ იციან, რომ მიწის ყიდვი-გაყიდვა არ შეიძლება და იგი ეკუთვნის იმას, ვინც მაზე მუშაობს. არიან თურმე ისეთებიც, რომლებიც ამართლებენ დამნაშავეს, მიუხედავთ იმისა, რომ მან სასამართლოს წინაშე აღიარა თავისი დანაშაული და ამას სჩადიან მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ საქმეში მოიპოვება ცნობა დამნაშავეს „ნევრასტენით“ დაავადების შესახებ. „თუმცა ამა და ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული, ვკითხულობთ ერთ ერთი სახალხო მოსამართლის ბრძნულ განაჩენში, მაგრამ რადგანაც იგი დაავადებულია ნევრასტენით, გამართლებული იქნესო“-ო.

აი ურყევი გარანტია დაუსჯელობის! დამნაშავეებს სრულიად დამშვიდებით შეუძლიან ძირი უთხარონ საბჭოთა სახელმწიფოს, მათ არავითარი მსჯავრი არ მიუღიათ რადგანაც მათ შორის 95 პროც. თუ სულ 100 პროც. არა აუცილებლათ ნევრასტენით შეეყრობილი აღმოჩნდებიან.

შემდეგ, ზოგიერთი მოსამართლე, რომელსაც სრულიად ობიექტიური მიზეზების გამო არ ძალუძს საქმის გადაწყვეტა არსებითად, სდებს და სდებს საქმეებს შემდეგი დროისათვის. „დღეს ვერ შევსძელი, იქნებ ხვალ დავძლიო“ ფიქრობს ასეთი მოსამართლე, მაგრამ სამწუხაროდ ვერც ხვალ ერევა და აი ამ რიგათ იქმნება სასამართლოებში ის საზიზღარი „გაქიანურება, რომელსაც პარტიამ დაუნდობელი ომი გამოუტყხადა. თუ ჩვენი მოსამართლეები „ნიკოლოზის“ დროის დადებული ხელშეკრულებით მიწას კულაკს მიუსჯიან, თუ დამნაშავეს გასამართლებენ „ნევრასტული“ მოსაზრებით, თუ საქმეებს განუწყვეტლივ, ათჯერ და უფრო მეტჯერაც გადასდებენ სრულიად უმნიშვნელო მიზეზით, აშკარაა სასამართლოს ავტორიტეტზე, ურომლისოდაც შეუძლებელია როგორც მოსამართლის, ისე გამოძიებლის და პროკურორის მუშაობა-ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ზემოთაღნიშნული გვიკარნახებს—მოფიქრებულად და სიფრთხილით იქნენ შერჩეული სასამართლო მუშაკნი ყველაზე უფრო აქტიური და შეგნებული მუშებისა და გლეხებისაგან (დროა მოვსპოთ მომუშავეთა დანიშნა იმ მო-

საზრებით, რომ „კარგი ბიჭია“-ო. კარგი ბიჭობა საკმარისი არ ვახლავთ), ჯგროვანად განაწილდნენ ისინი საშუაოზე და შეუქმნათ მათ ისეთი პირობები, რომ თვითეულ მუშაკს - პრაქტიკოს შეეძლოს თავისი პრაქტიკული გამოცდალება შეავსოს თეორიული ცოდნით. თითქმის ხუთ წელიწადზე მეტია, რაც მოსკოვში, სპეციალურად სასამართლო მუშაკთათვის, დაარსებულია უმაღლესი იურიდიული კურსები, და საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატმა გაგზავნა იქ მხოლოდ ორი ამხანაგი, ამ ორიდან დღეს ფაქტიურად ერთი მუშაობს.

ამხ. ლენინი სწერდა: „სასამართლო პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის ხელისუფლების ორგანოა. სასამართლო არის აღრზდისა და დისციპლინის იარაღი“. იმისათვის, რომ ჩვენი სასამართლო მართლაც გადაიქცეს პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის ხელისუფლების ორგანოდ და იცავდეს მათ ინტერესებს, იმისათვის რომ ჩვენი სასამართლოების მუშაობამ განამტკიცოს რევოლუციური დისციპლინა და საბჭოთა საზოგადოება, ურომლისოდაც შეუძლებელია იმ კოლოსალურ დაბრკოლებათა გადალახვა, რაც აღმართულია ჩვენი მშენებლობის განვითარების გზაზე, იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოთ უზრუნველყოთ ჩვენი სასამართლოების კლასური ბუნება, ავაცილოთ მას „ნევრასტიანობა“ და გაქიანურება, საჭიროა ჯგროვანი ყურადღეა მიექცეს სასამართლო მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რისთვისაც საჭიროა მათი სისტემატიური გზავნა მოკლევადიან უმაღლეს იურიდიულ კურსებზე და სწორი განაწილება სამუშაოზე.

დღევანდელი დღის ამოცანაა წითელი სპეცების მომზადება ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში; ამ სპეცებს დაეყრდნობა ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება. წითელი სპეცი—სასამართლო მუშაკი ისევე საჭიროა, როგორც ინჟინერი, ექიმი, აგრონომი და სხვ., ვინაიდან ყველა ესენი ერთად ემსახურებიან და ქმნიან ერთ საქმეს, საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების საქმეს!

5. სააკოვი.

წლოვანობის დადასტურება*)

წლოვანობის დადასტურება ანუ აღდგენის ფაქტის დადასტურება დღეს ირჩევა სახ. მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად. მეოთხე უბ. სახ. სასამართლოში შექმნიდა და გაიჩნა 1928 წ. 1. იანვრიდან ა/წ. 1. ოქტომბრამდე 170 საქმე. მართალია პატარა საქმეა, მაგრამ მოსამართლეს მაინც დროს ართმევს და აცდენს დიდ საქმეებისაგან. მე ვფიქრობ, რომ წლოვანობის აღდგენის ფაქტის დადასტურების საქმეს უნდა ასრულებდეს მმჩის გამგე ან მილიციის უფროსი და სახალხო სასამართლოს სრულებით უნდა ჩაშოსკალდეს, ხოლო ამ საქმეების ჩამოშორება ისეთაც დატვირთულ სასამართლოებს ცოტათი მაინც განტვირთავს.

ი. კაცუტაძე

*) დისკუსიის წესით

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის სა- უპრადლო მოთხოვნა

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 15 №-ში მოთავსებული იყო დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის პასუხი ჩემს წერილობით შეკითხვაზე, რომელმაც ჰპოვა ადგილი იმავე ჟურნალის 9 №-ში. რადგანაც დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი მთხოვეს მიეწოდო ცნობა რომელმა დამცველთა კოლეგიის წევრმა ჩაიდინა ის მოქმედება, რომელზედაც მე იქ მიუთითებდი, უნდა განვაცხადო რომ იმ მოქმედების ჩამდენი არის დამცველთა კოლეგიის წევრი გრიგოლ რცხილაძე. იმისათვის, რომ დარწმუნდეთ სინამდვილეში საჭიროა მივმართოთ ქ. ტფილისის სამაზრო სასამართლოში დამთავრებულ სამოქალაქო საქმეს (№ 168), რომელშიც მოსარჩლეთ იყო ტიტე ჭიქოძე და მოპასუხე ვიქტორ ვილარეტი. მათ-შორის სადავო საკითხი ერთ გარემოებას ეხებოდა. მოსარჩლე ამტკიცებდა, რომ მოპასუხე-ვილარეტი არ არის კავშირის წევრი, რომ ის არის კერძო პირი ამ მოსაზრებით ის მისგან ითხოვდა ბინის ქირას კერძო. პირთათვის დაწესებულ სატარიფო განაკვეთის მიხედვით. მოპასუხე კი ამტკიცებდა, რომ ის არის მოსამსახურე და მან უნდა გადაიხადოს ბინის ქირა როგორც კავშირის წევრმა.

სარჩელი იყო აღძრული 1922 წ. 2 აგვისტოს და დამთავრდა მხოლოდ ამა წელში, ე. ი. თითქმის ექვსი წელი იყო საქმე განხილვის პროცესში, უკანასკნელათ მე მომიხდა საქმის გარჩევა. ეს საქმე არა ერთხელ ყოფილა გასაჩივრებული და დარღვეული ის უზენაეს სასამართლოს პლენუმამდეც მისულა. საქმის ჩემ მიერ გარჩევის დროს მოსარჩლეს ჭიქოძეს დამცველთა ყავდა ანდრონიკაშვილი, მოპასუხეს კი ვილარეტს—გრიგოლ რცხილაძე. უკანასკნელ სხდომაზე კამათის დროს მოსარჩლის დამცველმა ანდრონიკაშვილმა მიმართა რცხილაძეს შემდეგი სიტყვებით: რომ არცკი გრცხვენთან რომ ამ საქმეში შენ იყავი მოსამართლეთ და მაშინ გადაწყვიტე ჭიქოძის სასარგებლოთ და დღეს კი დამცველთა დაუდებო ვილარეტს და ამტკიცებ შენს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილების უარყოფითი პრინციპებსო, ანდრონიკაშვილის ასეთი განცხადებისათვის მე არ შემეძლო არ მიმეტყუა ყურადღება და არ გამოემკვირა, რამდენად ეს შეეფერება სინამდვილეს. მართლაც აღმოჩნდა, რომ 1922 წ. 2/3 ნოემბრის გამოტანილ გადაწყვეტილების გამოტანაში იღებდნენ მონაწილეობას თამაჯლომარე:—დ. იაგორაშვილი და მსაჯულთა გ. რცხილაძე. ამ შემადგენლობის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე ვილარეტს აქვს დაკისრებული ბინის ქირის გადახდა, როგორც კერძო პირს, თვეში ორ მილიონ ნახევარი მანეთი, ოქროს კურსზე გადატანით 23 მანეთი და 80 კაპ. ამ გარემოებამ მე დამაინტერესა და ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ საშუალებით შევეცადე მათ მიმართული მოქმედება დამცველთა კოლეგიის წევრის მხრივ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სანამ პასუხს გავიგებდი, მე არ მიმითითებია, ვინ ჩაიდინა ეს მოქმედება. ახლა კი აღვნიშნავ და ვფიქრობ პასუხსაც გავიგებ ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ საშუალებით დამცველთა კო-

ლეგიის პრეზიდიუმისაგან. ამასთან ერთად ვაცხადებ, რომ გრიგოლ რცხილაძე არის ძველი იურისტი და მას უნდა სცოდნოდა, რომ ყოფილ მოსამართლეს არავითარი იურიდიული და ზნეობრივი უფლება არ აქვს ამტკიცოს როგორც ვეჭილმა გარემოებანი უარყოფილნი სასამართლოს იმ გადაწყვეტილებით, რომელშიც იყო გამოტანილი მის მონაწილეობით როგორც მსაჯულის.

მე მგონია რცხილაძის მოქმედების დასასურათლათ ესეც კმარა, და თუ საჭირო იქნება, დანარჩენზე შემდეგში უფრო ვრცლათ.

რობილონ კალანდაძე.

იუსტსახკომის ცხოვრებიდან იუსტსახკომის ექვსი თვის (ოქტომბერ-მარტი 1928—29 წ.) სამუშაო გეგმა

პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების და გაუმჯობესების საკითხში:


1. ჩატარდეს სახალხო მოსამართლეთა, სახ. გავმომძიებელთა, ნოტართა, სასამ. აღმასრულებლების და სასამ. მდივნების პირადი შემადგენლობის ატესტაცია.
2. მოეწყოს მთელი აპარატის პირად შემადგენლობის სწორი აღრიცხვა.
3. სახალხო მოსამართლეთა მოსამზადებლად მოეწყოს მოკლე ვადიანი კურსები.
4. სახალხო მოსამართლის და გამომძიებლის თანამდებობაზე დასანიშნავ პირთათვის შემოღებულ იქნეს სტაჟის განვლის სისტემა.
5. სახ. სასამართლოს მდივნების, პროკურორების მდივნების და სასამ. აღმასრულებლის თანამდებობაზე დასანიშნავ პირთათვის შემოღებულ იქნეს სტაჟის განვლის სისტემა.
6. დამუშავდეს განათლების სახკომისარიატთან ერთად იუსტსახკომის და სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტის შორის ურთიერთობის ორგანიზაციული ფორმები.

ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციის დარგში:

1. ჩატარდეს საქმის წარმოების რაციონალიზაცია.
2. ჩატარდეს კომისარიატში კერძო პირთა მიღების საქმის რაციონალიზაცია.
3. მოეწყოს საინფორმაციო-სტატისტიკური აპარატი.
4. იუსტ. სახ. კომისარიატის საუწყებო ორგანოები განიტვირთონ ზედმეტა მიმოწერისაგან ანგარიშების საკითხში და საერთოდ გაუმჯობესდეს ანგარიშების საქმე.

მოკვლევის, გამოძიების და სასამართლოს პროცესის გამარტივების და გაუმჯობესების საკითხში:

1. დაზავდეს და შეტანილ იქნეს საკანონმდებლო ორგანოებში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო სამ. საპროცესო კოდექსის ცვლილებანი, სსრკ-რის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის დადგენილებათა მიხედვით.
2. მოეწყოს 2 მაზრაში საკვლევი სოფლის სასამართლოები და აღინუსხოს ამ ცდის შედეგები.



3. შემუშავდეს ღონისძიება შრომის საქმეთა მსვლელობის წესის შესახებ გამოცემული ახალი კანონის სწორ-უწყველად შესრულებისათვის.

4. გამოძიების აპარატი მთლად გადაეცეს პროკუ-რატურას; გამოირკვეს მოკვლევის საქმისათვის დაწესე-ბული ზედამხედველობის აკარგინაობა.

5. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატთან ერთად დამუშავდეს ღონისძიება მილიციის ორგანოებში წარმო-ებული მოკვლევის საქმის გაუმჯობესებისათვის სსრკ-რის მუშათა და გლეხთა სახ. კომისარიატის დადგენილებათა მხედვეთ, აგრეთვე სათანადოდ იქნეს დაყენებული მოკვ-ლევისათვის დაწესებული ზედამხედველობის საქმე.

ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობის გაუმჯო-ბების დარგში:

1. შემოღებულ იქნეს ადგილობრივ ორგანოების გეგმიანი, ცალ-ცალკე დარგის გამოკვლევის სისტემა.

2. შემოღებულ იქნეს ადგილობრივ მუშაკთა გამო-წვევა მოხსენებებით.

3. ჩატარდეს პროკურორთა და სამაზრო სასამართ-ლოების რესპუბლიკანური თათბირი.

4. ჩატარდეს იუსტსახკომის მუშაკთა ადგილობრივი თათბირები.

სოფლად და სხვადასხვა სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების დარგში:

დამუშავდეს ღონისძიებანი:

1. მიწის ყიდვა-გაყიდვის, უკანონო იჯარის და სა-ერთოდ მიწის კოდექსის დარღვევის წინააღმდეგ.

2. კულაური ტიპის მეურნეობაში შრომის კოდექ-სის დარღვევისა და დაქირავებული შრომით მოსარგებ-ლე გლეხურ მეურნეობაში ჯდრებით წესების („Врем. прав.“) დარღვევის წინააღმდეგ.

3. მევახშეობის, გადასახადთა დასაბეგრი ობიექ-ტების გადაძალვისა, ცრუ-კომპერატივების და სხვის წი-ნააღმდეგ.

4. საბჭოთა კანონების და მთავრობის მნიშვნელო-ვან ხასიათის ღონისძიებათა (სასოფლო სამეურნეო გადა-სახადი, სახელმწიფო დაზღვევა, თვით დაბეგვრა, შრო-მის საგზაო ბეგარა და სხვა) შესრულებლობის წინააღ-მდეგ.

სახელმწიფო აპარატში არსებულ სიმახინჯესთან ბრძო-ლის საკითხში:

1. ჩატარდეს რამდენიმე საზოგადო-საჩვენებელი პროცესი სახელმწიფო აპარატში და კერძოთ იუსტიციის აპარატში არსებული ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანუ-რების და საერთოდ აპარატის დამახინჯების საქმეთა შესახებ.

2. დამუშავდეს მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად იუსტსახკომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შორის ურთიერთობის ორგანიზაციული ფორმები.

3. შემოღებულ იქნეს სათანადო სისტემა ბეჭდი-თი სიტყვის გაჩაბილებელი მუშაობის გამოყენების საქ-მეში.

დასჯისა და პენიტენციარული პოლიტიკის საკითხში:

1. გამოკვლეულ იქნეს დასჯის პოლიტიკის პრაქტი-კა კლასიური მტრების და არაკლასიურ პროფესიონალურ დამნაშავეთა და რეციდივისტების მიმართ.

2. გამოკვლეულ იქნეს დასჯის პოლიტიკის პრაქტი-კა იმ შრომელთა მიმართ, რომელთაც დანაშაული შე-ძთხვევით (პირველად ან მძიმე პირობების გამო) ჩაუდუ-ნიათ და არ წარმოადგენენ სოციალურად საშიშ პიროვ-ნებას.

3. გამოკვლეულ იქნეს სასამართლოების გადაწყვე-ტილებათა და განაჩენთა სისრულეში მოყვანის სა-კითხი.

4. შინაგან საქმეთა სახკომისარიატთან ერთად გა-მოკვლეულ იქნეს პენიტენციარული პოლიტიკის პრაქ-ტიკა.

დამცველთა კოლეგიის და იურისკონსულტების მუშაო-ბის გაუმჯობესების საკითხში:

1. გამოკვლეულ იქნეს დამცველთა კოლეგიის მუ-შაობა და ჩატარდეს ამ მუშაობის რეორგანიზაცია.

2. მოეწყოს იურისკონსულტთა ბიურო.

მშრომელთა მასებთან კავშირის გაუმჯობესების სა-კითხში:

1. ჩატარდეს სახალხო მსაჯულთა შორის იურიდიუ-ლი მუშაობა.

2. ჩატარდეს პროკურატურის და სასამართლოს საანგარიშო მოხსენებანი ღარიბ გლეხთა კრებების და საბჭოების წინაშე.

3. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს ცაკ-ის წინაშე ქალაქის და იმ თემის საბჭოებთან, სადაც სახ. სასამართლო იმყოფება, ადმინისტრაციულ უფლებრივ სექციების დაარსების შესახებ.

4. წარმოებულ იქნეს მოსამზადებელი მუშაობა სა-ხალხო მსაჯულების საანგარიშო და გადარჩევის კამპა-ნიის ჩასატარებლად.

ჟურნალის და გამომცემლობის საქმის დაყენების გაუმ-ჯობესების საკითხში:

დამუშავდეს ღონისძიებანი ჟურნალ „საბჭოთა სა-მართლო“-ს, როგორც შინაარსის, აგრეთვე მატერიალუ-რი მხარის გაუმჯობესების მიზნით.

მიეცეს წინადადება ი. ს. კ. განყოფილებებს და უზენაეს სასამართლოს 2 კვირის განმავლობაში შეიმუ-შაონ ამა გეგმის საფუძველზე და წარმოუდგინონ კოლე-გიას დასაბუთებლად მუშაობის გეგმა ამა წლის მარ-ტამდე, ამ უკანასკნელ თვის ჩათვლით.

იურიდიული დახმარება

(კითხვა-პასუხი)

კითხვა.

1. მიწის მოსარგებლეს შრომითი სარგებლობისა-თვის დატოვებულ მიწაზე აქვს დიდი ხნიდან დიდრონი ხეები, როგორიცაა კაკლის ხე, იქვე მეზობელმა საკუთა-რი სარგებლობის მიწაზე გააშენა ვენახი, დათესა სიმინ-დი ან სხვა ისეთი რამ, რომელსაც მეზობლის პირველი მიწის მოსარგებლის დიდრონი ხეების ჩრდილი ზიანს აყენებს—ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა ვავიგოთ მი-წის კოდექსის 21 მუხლის აზრი?

2. სასამართლოს პრაქტიკა ააშკარავებს, რომ მი-წების გაცვლა გამოკვლით სოფლად ხდებოდა ფარული ყიდვა-გაყიდვა. ზოგიერთი აღმასკომები ასეთ საბჭოთს ადასტურებენ მასზე შემდეგი წარწერით „ხელის მოწე-რას ვადასტურებ“, სასამართლოსათვის ეს საბჭოთი უმნი-შვნელოა, მაგრამ გლეხებს ასეთი შემოწმება კანონიერად მიაჩნიათ და ამით შეცდომაში შედიან. ასეთ უკანონო აქტების შესრულებისათვის უნდა მიეცენ პასუხისგებაში თუ არა ის თანამდებობის პირნი, რომელნიც ამას სჩა-დიან.

ნოე სანიკიძე.

პასუხი:

1. მიწის კოდექსის 21 მუხლის ძალით მიწის მოსარგებლეს არა აქვს უფლება მის სარგებლობის მიწაზე ააშენოს, მოაწყოს ან მოიმოქმედოს ისეთი რამე, რითაც დაარღვევს მეზობელ მიწის მოსარგებლეთა ინტერესებს. ამ მუხლის დადგენილების აზრი ისაა, რომ მიწის გამოყენება დანიშნულებისამებრ მისმა მოსარგებელმა ისე უნდა აწარმოოს, რომ არ დაირღვეს მეზობელი მიწის მოსარგებლის არსებითი ინტერესები. არსებითი ინტერესის დარღვევას მაშინ აქვს ადგილი, როცა მიწის მოსარგებლის მოქმედება ან შეუძლებლად ხდის მეზობლის მხრივ მიწის მის დანიშნულების გამოყენებას ან და ასეთი გამოყენება არ აძლევს მეზობელს იმ ნაყოფს, რასაც შეიძლება ჰქონოდა ადგილი, მიწის მოსარგებლის რომ არ ჩაედინა შესაბამისი მოქმედება მაგალითად, მიწის მოსარგებელი აგებს შენობას ისეთ ადგილზე, რომ ის ჩრდილავს მეზობლის ნათესს, რის გამო ნათესი ვერ იზრდება. ვერ ჰხარობს და ამიტომაც ნაყოფსაც ვერ იძლევა. ამ შემთხვევაში მეზობლის არსებითი ინტერესის დარღვევაა. მაგრამ თუ მიწის მოსარგებლეს უკვე აქვს გაშენებული დიდრონი ხეები და ეს უკანასკნელი ჩრდილავს იმ ადგილებს, რომლებზედაც მეზობელი თესავს ან აშენებს ხეხილს ან სხვას, ამ შემთხვევაში არ არის პირიქის მხრივ ისეთი მოქმედება, რომელსაც ითვალისწინებს 21 მუხლი. მიწის მოსარგებლის მოქმედება უნდა იყოს იმის მიხედვით, რომ მეზობლის არსებითი ინტერესები შეილახა. მხოლოდ ამ შემთხვევას შეეფარდება მიწის კოდექსის 21 მუხლი.

2. მიწის გაცვლა-გამოცვლის ასეთი წესით გატარება დაუშვებელია და კანონის საწინააღმდეგო მოქმედებაა თანახმად მიწ. კოდექსის 118 მუხლის შინაშენისა. მიწის გაცვლა-გამოცვლა შეიძლება მხოლოდ მიწათმოქმედისა, კომლის გაყრისა და ძირითადი საადგილმამულო რეგისტრაციის დროს. მონაწილე მხარეების ხელისმოწერის დადასტურება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს მიერ იმ აქტზე, რომელიც შეიცავს კანონის საწინააღმდეგო გარიგებას მიწის გაცვლა-გამოცვლის შესახებ, უნდა ჩაითვალოს ისეთ მოქმედებად, რომლისთვისაც პასუხი უნდა აგოს მისმა ჩამდენმა. ასეთ თანამდებობის პირის მოქმედებას შეეფარდება საქმის გარიგებათა მიხედვით სისხლის სამართლის ან 114 მუხლი, ან და 117 მუხლი.

დადგენილებაში დაწვრილებით განსაზღვრულია აღნიშნულ ფასების გამოთვლების და გამოკვეყნების წესი და დრო. სააღმშენებლო მასალის და მუშა ხელის ნომენკლატურა დაწესდება ცალკე ინსტრუქციით, რომელსაც გამოიმუშავებს ა-კ. სატენიკო-საამშენებლო კომიტეტი ფედერაციაში შემავალ რეკონსტრუქციის სააღმშენებლო-ტექნიკურ კომიტეტთან შეთანხმებით, და აგრეთვე ა-კ. ვაჭრობის სახკომთან შეთანხმებით იმ ნაწილში, რომელიც სააღმშენებლო მასალას ეხება, და ა-კ. შრომის სახკომთან იმ ნაწილში, რაც მუშა-ხელს ეხება. საცნობარო ფასებს გამოაკვეყნებ სააღმშენებლო-ტექნიკური კომიტეტი ა-კ. შრომის და ვაჭრობის სახკომთან შეთანხმებით.

კავშირი
Об утверждении положения о фонде долгосрочного кредитования коммунального и школьно-больничного строительства (ს. კ. ს-ის 1928 წ. სექტემბრის 21 დად. № 67, — „ზარ. ვოსტ.“ № 228, ოქტომბრის 3).

კომუნალურ ბანკებთან ამ ბანკების სპეციალური კაპიტალების სახით არსდება სასაწავლებლო-საავადმყოფო მშენებლობის გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდები. ამ ფონდის დანიშნულებაა შეღავათიან პირობებში საკრედიტო დახმარების აღმოჩენა სამხარო და საქალაქო აღმასკომებისათვის კომუნალური მეურნეობის სასაინტარო ტექნიკურ საწარმოთა, სკოლების და სავადმყოფოების კაპიტალური შეკეთების, მოწყობის და ახალი მშენებლობის საქმეში. ფონდები შესდგება ყოველწლიური საბიუჯეტო ასიგნოვებიდან ა-კ. ბიუჯეტით, 1928—29 წლიდან დაწყებული, ყოველწლიური ანარიცხებიდან ბანკის წმინდა მოგებიდან (არა ნაკლებ 10 პროც) კომუნალურ მეურნეობისათვის წინადა მიცემულ კრედიტებიდან, ფონდების პროცენტებისაგან და სესხის გადაუხდელობის საურაგებისაგან და სხვა ასიგნოვების და შემოსულ თანხებისაგან.

ამ ფონდებიდან სესხი მიიცემა შემდეგი საჭიროებისათვის კომუნალური მეურნეობის (წყალსადენი, აბანო, სასაკლაო და სხვა) სასკოლო და სავადმყოფო მშენებლობისათვის. სესხის პირობები, ვადა დაწვრილებით ათავალისწინებულია პირველი კატეგორიის სესხისათვის პროცენტები განსაზღვრულია 3—6, ხოლო სასკოლო სავადმყოფო სესხისათვის—1 პროც. აქედან, 0,5 პროც. მოხმარდება ბანკის ხარჯებს ფონდის ოპერაციებთან დაკავშირებით, დანარჩენი ჩარიცხება ფონდში. პროცენტების გამოანგარიშება—დღიდან სესხის მიცემისა, გადახდა—სესხის კაპიტალური ნაწილის გადახდის დროს. სესხი მიიცემა სავადო ვალდებულებით.

ცალკე აღმასკომებს შორის ფონდის სახსარს გაანაწილებს სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო. კომუნალური ბანკი შეადგენს სათაერატიო გეგმას სათანადო რესპუბლიკის სახ. საგეგმო კომისიასა და ფინსახკომთან შეთანხმებით, და გაანაწილებს ფონდის სახსრებს ამ გეგმის მიხედვით.

სესხის რაოდენობა—საწარმოოს ღირებულების 75 პროც. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ეკონომიურ საბჭოს ნებართვით,—150 პროც. ბანკი თვალყურს ადევნებს, რომ სესხი მოხმარებულ იქნეს დანიშნულებისამებრ. სესხი უნდა დაებრუნოს კომუნალურ ბანკს, და ჩარიცხოს ფონდში. გასესხებასთან დაკავშირებული ზარალი მიეკუთვნება ფონდის თანხებს.

ფონდის სახსრებს ბანკი გამოჰყოფს თავის ბალანსებში სპეციალურ ანგარიშით როგორც პასივი, ისე აქტივიში. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ფინსახკომები დასდებენ სათანადო კომუნალურ ბანკებთან ხელშეკრულებას ფონდის სახსრების ამა დებულების საფუძველზე რეალიზაციის შესახებ. ფონდის მოუხმარებელ თანხებისათვის ბანკი იხდის 6 პროც. ფონდის სასარგებლოდ. რევიზიას მოახდენს ა-კ. და სათანადო რესპუბლიკის ფინსახკომები.

ფონდის ლიკვიდაცია მოხდება ა-კ. სახკომსაბჭოს სპეციალურ დადგენილებით*).

კანონმდებლობის მიმოხილვა

1928 წ. ოქტომბრის 1-დან ოქტომბრის 15-მდე.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა

შრომა

Об утверждении положения о порядке съезда и опубликования справочных цен на рабочие руки строительные материалы (ს. კ. ს-ის 1928 წ. სექტემბრის 21 დადგ. № 68, — „ზარ. ვოსტ.“ № 229, ოქტომბრის 4).


მუშა-ხელისა და სააღმშენებლო მასალის საცნობარო ფასები გამოთვლა-გამოცვლა იმისათვის, რომ ეს ფასები სახელმძღვანელოდ იქნეს მიღებული ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ფარგლებში სხვადასხვა სახის სააღმშენებლო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვების და საშეფასო მაუწყებლების დროს შედგენის დროს. რაიონში, სადაც ასეთი ფასები არ გროვდება, სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ცნობები.

გამოკვეყნებული საცნობარო ფასები სახელმძღვანელოდ ვერ მიიღება კონკრეტულ სააღმშენებლო მუშების სამუშაო ხელფასის განსაზღვრის დროს.

ეს ფასები შეიმუშავდება და გამოკვეყნდება საბიუჯეტო წლის ყოველი ნახევრისათვის.

* უადგენლობის გამო ა. კ. კანონმდებლობის მიმოხილვის დასასრულში „საბინაო კანონმდებლობა“ და საქ. ს. ს. რ-ის კანონმდებლობა მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში.

ქ ვ ი ზ ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი



შინაარსი: ამონაწერი უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან. - ამონაწერი უზენაეს სასამართლოს პლენუმის სხდომის ოქმიდან.

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

სსსრ უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმის 1928 წ. 6 ოქტომბრის სხდომის ოქმიდან.

რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი ქ. ტფილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოს 1927 წ. სექტემბრის 5 დადგენილებაზე, რომლითაც აღსასრულებლათ მიქცეულია სამედიცინო სასამართლოს 1927 წ. აგვისტოს 20 გადაწყვეტილება მამედ ალი ისმაილოვის და ჯუმშუთ ისმაილოვის შორის სახლზედ საკუთრების უფლების ცნობის შესახებ. მომხს. მ. კაკულია.

როგორც საქმიდან სჩანს მამედ ალი ისმაილოვმა გადასცა შვილს ჯუმშუთ ისმაილოვ, თავისი საკუთარი სახლი მედიცინული წესით. მედიცინით მხარეებს მიუწვევიათ დამცველთა კოლეგიის წევრი ანდრია ილარიონის-ძე ადამიძე. ზემოაღნიშნული განჩინება ტფილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოს მიუშარბავს შესასრულებლათ 1927 წ. სექტემბრის 5 დადგენილებით. მამედ ალი ისმაილოვს შვილისათვის გადაუცია სახლი ვალის დასაფარავათ, ვითომდა შვილს ემსახურნოს ხუთი წლის განმავლობაში მამასთან, მაგრამ ხელფასი ვითომდა არ მიეღოს, რაც არ არის სარწმუნო, ვინაიდან, თუ ჯუმშუთ ისმაილოვი მუშაობდა მამასთან ერთად და ამ მუშაობისათვის არაფერი მიუღია მამისაგან, ეს აიხსნება იმით, რომ ის მუშაობდა თავის სასარგებლოდ და არავისაგან ამ მუშაობისათვის მას ჯილდო არ ერგებოდა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მედიცინული ხელშეკრულება დაიდო მამედ ალი ისმაილოვსა და მამედ ალი ისმაილოვს შორის, რომელიც სახლზე იყო მიქცეული გადახდევინება არტემ სააკოვის მიერ 70 მანეთის რაოდენობით ხელფასის ასანახლაურებლათ, უნდა ვიგულისხმობთ, რომ ეს მოხდა იმ მიზნით, რომ აეცდნათ სახლზედ მიქცეული გადახდევინება. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამ. სამ. საპრ. კოდ. 199 მუხლის შენიშვნით, რომლის ძალით ქალაქებში სახლის საკუთრების უფლების შესახებ დავა არ შეიძლება გადაეცეს სამედიცინო სასამართლოს და სამედიცინო განჩინება არ უნდა მიემართა შესასრულებლათ, აგრეთვე არ უნდა მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში მედიცინის სახით დამცველთა კოლეგიის წევრს ანდრია ადამიძეს, რომელსაც დაუშვებელია, რომ არ სკოდნოდა ასეთი განჩინების თვალთმაქციური ხასიათი, რის გამო და ა დ გ ი ნ ა: რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი დამაყოფილდეს, ქ. ტფილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოს 1927 წ. სექტემბრის 5 დადგენილება გაუქმდეს და საქმე ესე წარმოებით მოისპოს. ეცნობოს დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს ადამიძის დაუშვებელ მოქმედებაზე.

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

ს.ს.ს.რ. უზ. სასამართლოს პლენუმის 1928 წ. 16-17 ოქტომბრის სხდომის ოქმიდან.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება, რათა განმარტებულ იქნეს, თუ სახელდობრ ვინ

და რა კატეგორიის პირნი უნდა ჩაითვალოს ყოფილ შემამულებათ, რომელთაც მიწის კოდექსის 26 მუხლის მოთხოვნის თანახმად მიწის იჯარით გაცემის უფლება არა აქვთ. მომხს. ამხ. ხარაბაძე.

განმარტებულ იქნეს, რომ ყოფილ შემამულეთ ჩაითვლება ის პირი, რომელიც საქართველოს გასაბჭოებამდე თავის პირად შრომით არ ეწეოდა მეურნეობას და რომლის საცხოვრებელ წყაროს წარმოადგენდა ღალა ან დაქირავებული შრომა,—ე. ი. უშრომო შემოსავალი მიუხედავათ—მისი ყოფილი წოდებისა. ასეთ პირს ამ უამოდ არა აქვს უფლება გათვალისწინებულ მიწის კოდექსის მე-26 მუხლში, ე. ი. მას კატეგორიულად აკრძალული აქვს მიწის იჯარით გაცემა; ყოფილ შემამულეთ არ ჩაითვლება ისეთი პირი, რომლის ძირითად საქმიანობასაც საქართველოს გასაბჭოებამდე შრომითი მეურნეობა შეადგენდა, ხოლო დაქირავებულ შრომით სარგებლობდა ნაწილობრივით, დამხმარე ძალის სახით.

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1927 წ. 16-17 ოქტომბრის სხდომის ოქმიდან.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება, რათა განმარტებულ იქნეს იღვენება თუ არა სისხლის სამართლის წესით მიწის კოდექსის მე 25 მუხლის და სსკ 182 მუხ. თანახმად მიწის იჯარით გაცემა საამისოთ დაწესებულ რეგისტრაციის გარეშე. მომხს. ამხ. ხარაბაძე.


განმარტებულ იქნეს, რომ მიწის იჯარით გაცემა მიწის კოდექსის თანახმად დაშვებულია გამონაკლისის სახით იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნულ კოდექსის მე 25 მუხლით; მიწის იჯარით გაცემისათვის აუცილებელია საიჯარო ხელშეკრულების და მის შესახებ მხარეთა შორის მიღწეულ ყველა დამატებითი შეთანხმების დამტკიცება მაზრის საადგილმამულო განყოფილების მიერ; საადგილ-მამულო განყოფილებამ მიწის კოდექსის მე-30 მუხლის თანახმად წინასწარ უნდა გამოარკვიოს, არის თუ არა შესრულებელი ყველა ის პირობა, რაც აუცილებელია იჯარის ნების დასართავათ. მხოლოდ ამ კანონიერ მოთხოვნილებათა შესრულებისას საიჯარო ხელშეკრულება დადასტურდება, რის შემდეგ ის ვგზავნება სათანადო თემის აღმასრულებელ კომიტეტს რეგისტრაციისათვის; თემალმასკომში გატარებულ რეგისტრაციის შემდეგ საიჯარო ხელშეკრულება კანონიერია. მიწის იჯარით გაცემა სხვა სახით (მაგ. სიტყვიერი გარიგება, შინაური ხელწერილი და სხვ.) ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულათ და იღვენება მიწის კოდექსის მე-25 მუხლის თანახმად. იმ პირს, ვინც სასამართლოს მიერ ცნობილი იქნება დამნაშავეთ აღნიშნულ გარიგების დადებაში შეეფარდება სათანადო სოციალურ დაცვის ღონისძევა სისხლის სამართლის კოდექსის 182 მუხლის ძალით, - ხოლო მიწის ნაკვეთი (გარიგების ობიექტი) და უკანონო საფასური მხარეებს ჩამოერთმევათ და გადაირიცხება პირველი (მიწა) საადგილ-მამულო ფონდში, ხოლო მეორე (საფასური) ადგილობრივ თემალმასკომის სასარგებლოდ

გამომცემელი:

სამ. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატი

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათიკაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ი. ტალახაძე, თ. დოლიძე, მ. ბროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, კ. მიქელაძე, ს. ჯაფარიძე, პ. ჯავახიშვილი.



უკანასკნელი გაფრთხილება!!!

დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო ხელისმომწერლებს, რომლებთანც დღემდე არ გადაუხდიათ ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ ფული — რედაქცია აფრთხილებს უკანასკნელად, რათა სასწრაფოდ გაასწორონ ანგარიში.

უახლოეს ნომრებში გამოქვეყნებული იქნება სია იმ ხელისმომწერლებისა, რომლებიც არ შეასრულებენ რედაქციის მოთხოვნილებას.

მიიღება ხელისმოწერა

ჟურნალ „საბჭოთა სამართალ“-ზე

1928 წ. 1 ოქტომბრიდან 1929 წ. 1 იანვრამდე

ხელისმოწერის ფასი: — 3 მან.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმოწერა არ მიიღება.

რედაქციის მიერ უიქნებოა აბრკოვანა ა. წ. 1 იანვრიდან გამოცემული ჟურნალ ნომრებისა.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს იმ სამაზრო სასამართლოებს, რომელთანც მოეზოვებათ პირველი და მეხუთე ნომერი გაუეიდველი სასწრაფოდ გადმოგზავნონ უკან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32 „საბჭოთა სამართლის“ რედაქციას. ტელეფონი № 10-51.

1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ დ ი ს ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის
ორგანიზაციული ორგანო

„ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

„საბჭოთა სამართალი“ ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა მომუშავეთ სათანადო მასალის მიწოდებით, სადაო საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარებით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი პენიტენციურს, სამილიციო და სისხლის სამართლის სამკარო მილიციის მუშოებას.

გარდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე
შემდეგი განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლო სხდომები, ტერმინოლოგიის გასაღები, პროცესი, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანაგრძობილია შემდეგი განყოფილებები:
(ანბანზე)

ალხვი ა., ამალღობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუსტიანი ა., დოლიძე თ., ვარდანიანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუხიკოვი ა., ლუნკევიჩი ვ., მათიკაშვილი შ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ., პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ., სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათიკაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ი. ტალახაძე, თ. დოლიძე, ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, კ. მიქელაძე, ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ.
ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმომწერა არ მიიღება.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, ტროტუნალის ქ., № 32, ტელეფონი № 10—15.